

2011

კლინიკურია და პროცედურის პოზიციები  
საკაისრო პვეტასთან დაკავშირებით:  
სამართვალოში საკაისრო პვეტაბის  
მაღალი მაჩვენებლის ოპერაციული კვლევა



Koninkrijk der Nederlanden





კლიენტისა და პროვაიდერის პოზიციები  
საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით:  
საქართველოში საკეისრო კვეთების  
მაღალი მაჩვენებლის ოპერაციული კვლევა

<b>ამონებიატურები.....</b>	<b>3</b>
<b>ცხრილები და სურათები .....</b>	<b>4</b>
<b>1 შესავალი.....</b>	<b>6</b>
<b>2 მიზნები.....</b>	<b>8</b>
<b>3 მეთოდოლოგია.....</b>	<b>9</b>
3.1 კვლევის ტიპი და პოპულაცია, ნიმუში .....	9
3.2 მონაცემთა შეგროვება.....	11
3.3 ეთიკური მოსაზრებები .....	12
3.4 კვლევის შეზღუდვები .....	13
<b>4. შედეგები.....</b>	<b>13</b>
4.1 მშობიარობასთან დაკავშირებული ტენდენციები და რეგიონალური სხვადასხვაობა საქართველოში..	13
4.2 იმ სამედიცინო დაწესებულებებათა პროფილი, რომლებიც მშობიარობათა მომსახურებას ახორციელებენ ..	15
4.3 მშობიარობათა და საკეისრო კვეთათა სქემა კვლევაში მონაწილე სამშობიარო სახლებისა და სამშობიარო განყოფილებების მიხედვით .....	18
4.4 სიმართლის წიგნების ანალიზი .....	19
4.5 კლიენტთა პროფილი და პოზიცია .....	24
4.5.1 ორსული ქალები .....	24
4.5.2 ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალები .....	28
4.5.3 საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალები .....	30
4.6 პროვაიდერის პროფილი და პოზიცია .....	35
4.6.1 ბებიაქალები .....	35
4.6.2. მეან/გინეკოლოგები .....	38
<b>5 შედეგების განხილვა .....</b>	<b>41</b>
<b>6 დასკვნები .....</b>	<b>53</b>
<b>7. რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა .....</b>	<b>48</b>
7.1 რეკომენდაციები.....	48
7.2 “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციის” (MAG) სამოქმედო გეგმა .....	51
გამოყენებული დოკუმენტები.....	52
<b>დანართები .....</b>	<b>53</b>

## აბრევიატურები

<b>ANC</b>	ანტენატალური მოვლა
<b>C-section</b>	საკეისრო კვეთა
<b>CME</b>	უწყვეტი სამედიცინო განათლება
<b>CS</b>	საკეისრო კვეთა
<b>EPC</b>	ეფექტური პერინატალური მოვლა
<b>GEL</b>	ნაციონალური სავალუტო ერთეული (ლარი)
<b>GOGA</b>	საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია
<b>HF</b>	სამედიცინო დაწესებულებები
<b>ICM</b>	ბებიაქალების საერთაშორისო კონფედერაცია
<b>JSC</b>	სააქციო საზოგადოება
<b>JSI</b>	ჭონ სწორი ინსტიტუტი
<b>MAG</b>	საქართველოს ბებიაქალთა ასოციაცია
<b>MH</b>	სამშობიარო სახლი
<b>MMR</b>	დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი
<b>MoLSHA</b>	შრომის, ჰანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
<b>MU</b>	სამშობიარო განყოფილება
<b>NCDC</b>	საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჰანმრთელობის ეროვნული ცენტრი
<b>Ob/Gyn</b>	მეან/გინეკოლოგი
<b>PNC</b>	პოსტნატალური მოვლა
<b>PROM</b>	სანაყოფე გარსის ნაადრევი გასკდომა
<b>PS</b>	მშობელთა სკოლა
<b>SLR</b>	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
<b>TSMU</b>	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
<b>USAID</b>	შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
<b>VD</b>	ფიზიოლოგიური მშობიარობა
<b>WCC</b>	ქალთა კონსულტაცია
<b>WHO</b>	ჰანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჰანმო)

## ცხრილები და სურათები

ცხრილი 1: საკვლევი პოპულაცია და ნიმუში .....	9
ცხრილი 2: საკვლევ ნიმუშად აღებული ჭანდაცვის 19 დაწესებულება საქართველოში არსებულ 98 დაწესებულებასთან მიმართებით .....	11
ცხრილი 3: მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები .....	12
ცხრილი 4: დაგეგმილი და გადაუდებელი საკეისრო კვეთების რაოდენობრივი მაჩვენებელი (2000 - 2010) .	14
სურათი 1: მშობიარობათა (ფიზიოლოგიური და საკეისრო) პროცენტული წილი სამშობიარო სახლებში მიღებულ .....	14
სურათი 2: საკეისრო კვეთების ტენდენცია (საერთო, დაგეგმილ/გადაუდებელ საკეისრო კვეთათა პროცენტული მაჩვენებლის სახით) .....	15
სურათი 3: ფიზიოლოგიურ მშობიარობათა და საკეისრო კვეთათა რაოდენობა კვლევაში მონაწილე 18 სამშობიარო სახლსა და სამშობიარო განყოფილებაში 2009 წ.....	19
ცხრილი 5: საკეისრო კვეთათა პროპორცია 2009 წ. დაწესებულებების ტიპის მიხედვით .....	19
ცხრილი 6: პირველი და განმეორებითი მშობიარობის პროცენტული მაჩვენებლები .....	20
ცხრილი 7: ფიზიოლოგიური მშობიარობისა და საკეისრო კვეთის მაჩვენებლები სამშობიარო სახლებსა და სამშობიარო განყოფილებებში.....	20
სურათი 4: ასაკობრივი მაჩვენებლები მშობიარობის ტიპის (ფიზიოლოგიური და საკეისრო) მიხედვით .....	21
ცხრილი 8: მშობიარობის ტიპი ასაკის მიხედვით .....	21
ცხრილი 9: მშობიარობის ტიპი კეფით-წინ მდებარეობის შემთხვევაში, ორსულობის პერიოდის და სტიმულაციის (გამოყენების ან არგამოყენების) მიხედვით.....	22
სურათი 5: კეფით-წინ მდებარეობა, 37 კვირაზე მეტი (სტიმულაციის გარეშე) .....	22
ცხრილი 10: მშობიარობის ტიპი კეფით-წინ მდებარეობა, 37 კვირაზე მეტი, (სტიმულაციით/სტიმულაციის გარეშე) .....	23
სურათი 6: მშობიარობის ტიპი ნაყოფის მდებარეობის მიხედვით (მრავალნაყოფიანი, მენტით-წინ მდებარეობა, გარდიგარდმო მდებარეობა) .....	23
სურათი 7: ინფორმაცია მშობელთა სკოლების შესახებ .....	24
სურათი 8: ვიზიტები ქალთა კონსულტაციაში .....	25
სურათი 9: ქალთა კონსულტაციაში ვიზიტების სარგებლიანობა .....	25
სურათი 10: მშობიარობისათვის მზადყოფნა .....	26
სურათი 11: რჩევები ორსულ ქალთა მოვლა/მომსახურების გასაუმჯობესებლად .....	27
სურათი 12: მშობიარობის სასურველი ტიპები .....	27

სურათი 13: ქალთა კონსულტაციების მდებარეობა	28
სურათი 14: ქალთა კონსულტაციებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა	28
სურათი 15: ინფორმირებულობა მშობიარობის თაობაზე	29
ცხრილი 11: ორსული და პოსტნატალური პერიოდის ქალთა ასაკი	30
სურათი 16: სადაზღვევო სტატუსი ორსულ და ნამშობიარებ ქალებში	31
სურათი 17: ანესთეზიის გამოყენების რეგონალური ვარიაციები	32
სურათი 18: საკეისრო კვეთის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დრო	33
სურათი 19: საკეისრო კვეთით ნამშობიარებ ქალთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი	33
სურათი 20: მომავალი მშობიარობის სასურველი ტიპი	34
ცხრილი 12: ბებიაქალების ტრენინგები სამედიცინო დაწესებულების ტიპის მიხედვით	35
ცხრილი 13: ბებიაქალების ფაქტობრივი და სასურველი როლი პერინატალურ მოვლაში	36
სურათი 21: საკეისრო კვეთათა რაოდენობის ზრდის შესაძლო მიზეზები ბებიაქალების აზრით	37
სურათი 22: ბებიაქალების რეკომენდაციები	37
სურათი 23: საკეისრო კვეთათა რაოდენობის ზრდის შესაძლო მიზეზები მეან-გინეკოლოგების აზრით	39
სურათი 24: საერთაშორისო რეკომენდაციების ცოდნის დონე	39
ცხრილი 14: მეანგინეკოლოგების ცოდნა საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციების შესახებ	39
ცხრილი 15: მიზნები, ცვლადები, მონაცემთა წყაროები	53
ცხრილი 16: მკვლევართა ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები	80
ცხრილი 17: მშობიარობის ტიპების გადანაწილება საქართველოში (2000-2010)	81
ცხრილი 18: ნაყოფის კეფით-წინ მდებარეობა მშობიარობის ტიპების, ორსულობის პერიოდისა და სტიმულაციის მიხედვით	82

## 1 შესავალი

საქართველოში საკეისრო კვეთების კვლევა ჩატარდა პროექტის - "ზრუნვის ხარისხის ამაღლება: საქართველოში ბებიაქალთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება" – კონტექსტში<sup>1</sup>. ამ პროექტის მიზანია ათასწლეულის განვითარების მე-4 და მე-5 მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და 2015 წლისათვის დედათა ახალშობილთა სიკვდილიანობის დონის შემცირებასაერთველოში. კერძოდ, პროექტის ფარგლებში ჩატარდა მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და განვითარების მიზანის შემცირება. მათ შორის „საქართველოს ბებიაქალთა ასოციაცია“ (MAG) და დახმარება გაერია საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (TSMU) ბებიაქალთა სასწავლო პროგრამის შემუშავებაში. საქართველოში პერინატალური მოვლის ხარისხის გაუმჯობესება და ამ პროცესში ბებიაქალების ჩართულობის გაზრდა აუცილებელია.

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში, საქართველოს ფანდაციის სისტემა დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ამან უარყოფითად იმოქმედა ფანდაციის სფეროს განვითარებაზე და ფანდაციის სერვისების მიწოდებაზე, მათ შორის - პერინატალური მოვლის ხარისხსა და გავრცელებაზე. როგორც საქართველოში პერინატალური მოვლის გაძლიერების კონცეფცია (USAID/CoReform, 2009 წ.) გვიჩვენებს, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მწირი რესურსები არ იყო საკამარისი ფანმრთელობის დაცვის სისტემის სათანადო დონეზე ფუნქციონირებისათვის: "სოფლად მდებარე ამბულატორიებისა და ბებიაქალთა პუნქტების მუშაობა შეწყდა, დაწესებულებებს შორის კავშირები განწყდა, რამაც გამოიწვია პერინატალური მოვლის საბაზისო პრინციპების – ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის – შეფერხება. ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა დედათა და ბავშვთა ფანმრთელობის დაცვაზე, რაც გამოიხატა პერინატალური მაჩვენებლების გაუარესებაში". 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ფანმრთელობის ინდიკატორები გაუმჯობესდა. როგორც 2009 წ. "საქართველოს ფანდაციის სისტემის მიმოხილვაში" ტატა ჭანტურიძე და სხვები აღნიშნავდნენ, "მიუხედავად იმისა, რომ, საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ჰერ კიდევ მაღალია, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად ეს მაჩვენებელი მცირდება". თუმცა ლანცეტში (პოვანი, 2010 წ.) გამოქვეყნებულმა, მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა უკანასკნელმა კვლევამ ცხადყო, რომ დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის დონე საქართველოში კვლავ მაღალია (100 000 ცოცხლად მშობიარობიდან - 37<sup>2</sup>) კავკასიის სხვა ქვეყნებთან და ევროპასთან შედარებით. 2007 წ. ნეონატალური სიკვდილიანობის თითქმის 70% მოდიოდა პირველი ექვსი დღის განმავლობაში დაფიქსირებულ სიკვდილიანობაზე (9.4 - 1 000 ცოცხლად მშობიარობაზე) (USAID/CoReform, 2009).

1990-იან წლებში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო მსხვილმაშტაბიანი რეფორმები ფანდაციის სფეროში, რაც ნაწილობრივ მოიცავდა ფანმრთელობის დაბლევის დანერგვას, პროვიდერების ანაზღაურების სექტორს და მომხმარებელთა გადასახადებს. ფანდაციის დაფინანსების მთავრი წყარო იყო ნაღდი ფულით ანგარიშსწორება (OPPs) (ოფიციალური და არაოფიციალური). ბელის და სხვათა შეფასებით (2004 წ.), ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდებით მიღებული შემოსავლების თითქმის ნახევარი არაოფიციალური იყო. ავტორების თქმით, "ნაღდი ფულით გადახდა, როგორც ფანდაციის მომსახურების წყარო, ოფიციალურად "დაინერგა" როგორც კერძო სამედიცინო პრაქტიკის ანაზღაურების, ასევე თანადაფინანსების ფორმით". და მიუხედავად იმისა, რომ, სავარაუდო, OPPs არსებობდა საბჭოთა ეპოქაშიც, იგი მეტად გავრცელდა 1990-იანი წლების დასაწყისში - ეკონომიკური და ფისკალური კოლაფსის პერიოდში.

ფანდაციის სისტემის ასეთი ცვლილებების ფონზე, ზემოაღნიშნულმა პროექტმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საშუალებით, განახორციელა ბებიაქალთა ტრენინგისა და განათლების მხარდაჭერა, რაც იძლეოდა პროფესიონალ ბებიაქალთა კადრების განვითარებისა და ზრდის საშუალებას. იმავდროულად, პროექტი ხელს უწყობს პერინატალურ მოვლაში ბებიაქალთა როლის აღიარებას, ახლად დაარსებული "საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციის" ხელშეწყობით.

<sup>1</sup> პროექტი (2008- 2011 წ.წ.) დაფინანსებული იყო ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს / მატრას პროგრამის მიერ. განმახორციელებელი პარტნიორები საქართველოში: ჰერა XXI, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და "საქართველოს მედ-გინეკოლოგთა ასოციაცია". განმახორციელებელი პარტნიორები ნიდერლანდებში: ETC ფონდი, როტერდამის ბებიაქალთა აკადემია და ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაცია.

<sup>2</sup> ფანდობის 2006 წლის მონაცემების მიხედვით, დედათა სიკვდილიანობის დონეა (MMR) 32 - 100000 ცოცხლად მშობიარობაზე; დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC) მონაცემებით, 2008 წ. შეადგინდა 14.3-ს, ხოლო 2009 წ. - 27-ს 100 000 ცოცხლად მშობიარობაზე.

## კვლევის ლოგიკური დასაბუთება

კვლევა, რომლის ამოცანაც იყო საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებლების მიზეზების დადგენა, დაეყრდნო პერინატალური მოვლის არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვებით გაკეთებულ რიგ შეფასებებს. USAID და CoReform (2009 წ.) ერთობლივი ანგარიშის თანახმად, ანტენატალური მომსახურების არსებული სერვისების მოხმარება საკაოდ დაბალია: 2007 წელს 12 კვირამდე ორსულობის ანტენატალური ზედამხედველობისთვის დარეგისტრირდა ორსულ ქალთა მხოლოდ 49.7%; მათგან 70.6%-მა ორსულობის მიმდინარეობისას კონსულტაციას მიმართა, სულ მცირე, ოთხჯერ, მაგრამ ყველა აუცილებელი გამოკვლევა მხოლოდ მათმა ნანილმა ჩაიტარა. სხვა კვლევებით (UNICEF/Curatio 2006 წ.) იკვეთება ორსულ ქალთა უკმაყოფილება მიღებული მომსახურებით; ორივე კვლევამ დაადგინა საკეისრო კვეთების მაღალი დონე - დაახლოებით, 22% (დაწესებულებების მიხედვით იცვლება 2-დან 76%-მდე), საიდანაც ნახევარზე მეტი გადაუდებელ საკეისრო კვეთას წარმოადგენდა. ვაკუუმის აპარატი და მაშები გამოყენებული იყო სამშობიარო სახლში მიღებულ მშობიარობათა 1%-ზე ნაკლებში.

ჭანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჭერ კიდევ 20-ზე მეტი წლის წინ აღნიშნა, რომ საკეისრო კვეთების 10-15%-ზე მაღალი დონე არც ერთ რეგიონშიარ შეიძლება იყოს გამართლებული<sup>1</sup> (ჭანმო, 1985 წ.), მაგრამ მას შემდეგ საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ გაიზარდა, რასაც ადასტურებს მე-4 თავში აღწერილი შედეგები. ეს შეშფოთების საფუძველს იძლევა არა მარტო იმ ფაქტის გამო, რომ საკეისრო კვეთა დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებილი ქირურგიული ოპერაცია გახდა (ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული შედეგებით), არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათი უმეტესობა სამედიცინო ჩვენების გარეშე კეთდება. საკეისრო კვეთათა მზარდი რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ როგორც ჭანდაცვის სფეროს მუშავების, ასევე მათი კლიენტების აზრით, ეს ოპერაცია არავითარ სერიოზულ რისკთან არ არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა კვლევამ სცადა სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარებულ პროცედურასთან დაკავშირებული რისკების (და სარგებლის) შეფასება, ქირურგიულ ჩარევასა და მშობიარებში გართულებებს შორის მკაფიო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასაბუთება რთულია. თუმცა 2004-2008 წ.წ. ჭანმოს დედათა და პერინატალური ჭანმრთელობის დაცვის გლობალური კვლევა გვიჩვენებს, რომ სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარებული საკეისრო კვეთის შემდგომ დამდგარი მძიმე შედეგების<sup>2</sup> რაოდენობა სამჯერ აღემატება სპონტანური ფიზიოლოგიური მშობიარობის შემდგომ განვითარებული მძიმე შედეგების რიცხვს (ჭანმო, 2010 წ.). ავტორების აზრით, სამედიცინო საჭიროების გარეშე საკეისრო კვეთით მშობიარობა გაზრდილ რისკს ქმნის დედისათვის, მოკლევადიანი უარყოფითი შედეგების სახით, განსაკუთრებით-აფრიკაში. პრობლემები დაკავშირებულია აგრეთვე ასეთი პროცედურების ღირებულებასთან და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულობის მატებასთან (საკეისრო კვეთის შემდეგ ანტიბიოტიკების რუტინული გამოყენების შედეგად).

<sup>1</sup> 2009 წლის პუბლიკაციაში "გადაუდებელი სამეანო დახმარების მონიტორინგი" WHO აღნიშნავს: "საკეისრო კვეთის როგორც ძალიან მაღალი, ასევე ძალიან დაბალი მაჩვენებლები შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს, თუმცა ოპტიმალური მაჩვენებელი ცნობილი არ არის. შემდგომი კვლევების მოლოდინში, ამ ცნობარის მომშმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ 10-15%-იანი დიაპაზონი ან შეიმუშაონ საკუთარი სტანდარტები"

<sup>2</sup> (i) მძიმე შედეგები დედებისათვის, როგორიცაა დედის სიკვდილი, ინტენსიური თერაპიის განყფილებაში გადაყვანა და სისხლის გადასხმა ან ჰისტერექტომია (ii) მძიმე პერინატალური შედეგები, მათ შორის, ნაყოფის სიკვდილი, ნეონატალური სიკვდილიანობა სამშობიაროდან განერამდე და სიცოცხლის პირველ კვირაში, აგრეთვე 7 დღეზე მეტი ხნის გატარება ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

## მიზანი

საკეისრო კვეთების რაოდენობის ზრდის ტენდენცია მხოლოდ საქართველოშია რაღინიშნება. საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი 40%-ს აღწევს აღმოსავლეთ აზიაში, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელის მქონე რეგიონია (კოსტა, 2010 წ.)<sup>1)</sup>. ეს კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს საქართველოში ბოლო წლებში არსებული ტენდენცია, გამოიკვლიოს ქვეყანაში საკეისრო კვეთების მაღალი დონის გამომწვევი მიზეზები და განსაზღვროს არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებული ფაქტორები. იმავდროულად, კვლევის მიზანია ბებიაქალთა მიერ კვლევის (ოპერატორი) ჩატარების პოტენციალის გაძლიერება და მათი ანალიტიკური უნარ-ჩვევების ამაღლება, რისთვისაც კვლევის ყველა საფეხურზე ჩართულნი იყვნენ ბებიაქალები. საქართველოში საკეისრო კვეთების პრაქტიკისა და ამ საკითხისადმი არსებული დამოკიდებულების შესასწავლად ჩატარებული კვლევის შედეგები შეასრულებს იმ მტკიცებულებების როლს, რომლებსაც “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაცია” გამოიყენებს პერინატალური მოვლის გაუმჯობესების მხარდამჭერ ღონისძიებებში, რომელთა შორისაა დედათა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კლიენტების უფლებათა ცნობის ამაღლება და ბებიაქალების სოციალური და პროფესიული აღიარება.

## ლოგისტიკა და მაღლიერების გამოხატვა

საკეისრო კვეთებთან დაკავშირებული ეს კვლევა ინიცირებული იყო პროფესიული ორგანიზაციების – “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციისა” (MAG) და “საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის” (GOGA) მიერ. იგი განხორციელდა ერთობლივად MAG-ის, GOGA-სა და ჰერი XXI-ის მიერ, ETC Crystal-ის ტექნიკური დახმარებით.

მკვლევართა ჯგუფი მაღლობას უხდის კვლევაში მონაწილე ყველა ქალბატონს; მაღლობას ვუხდით ბებიაქალებსა და მეან-გინეკოლოგებს მათი მონძომებისა და გულწრფელი პასუხებისათვის. გარდა ამისა, მკვლევართა ჯგუფი მაღლობას უხდის სამედიცინო დაწესებულებების (სამშობიარო სახლებისა და განყოფილებების) ხელმძღვანელებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კვლევის განხორციელებაში. მათი სურვილისა და ნებართვის გარეშე კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.

## 2 მიზნები

კვლევის საბოლოო მიზანი: საქართველოში საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებლის მიზეზების დადგენა.

### არსებული ჩანაწერების ანალიზი:

1. განვლილი 10 წლის განმავლობაში ჩატრებული საკეისრო კვეთების მაჩვენებლების ტენდენციის დადგენა.
2. საქართველოში საკეისრო კვეთების მაჩვენებლების რეგიონალური / გეოგრაფიული ვარიაციების დადგენა.

### პროგრამული პოზიცია:

3. ე.წ. “სამეანო გართულებათა” ტიპების დროში ცვლილების დოკუმენტირება, რომლებიც მოითხოვოვნენ საკეისრო ჩარევას.
4. საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების პროფილის შედარება ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალების პროფილთან (10 სამედიცინო კატეგორიის და სხვა მახასიათებლების მიხედვით).
5. ბებიაქალებისა და მეან-გინეკოლოგების შეხედულებების დადგენა საკეისრო კვეთებთან დაკავშირებით - ზოგადი ტენდენციები; საკვლევ ნიმუშად შერჩეულ სამშობიარო სახლებში / სამშობიარო განყოფილებებში არსებული სიტუაცია.

### კლიენტის პოზიცია:

6. კლიენტების შეხედულებების დადგენა საკეისრო კვეთებთან დაკავშირებით - მათი ინფორმირებულობის დონის, საკითხისადმი დამოკიდებულებისა და იმ მიზეზების ჩატვლით, რომელთა გამოც ისინი ზოგჯერ თავად ითხოვენ საკეისრო კვეთას.
7. დადგენა იმისა, თუ ორსულობის რომელ ეტაპზე ხდება გადაწყვეტილების მიღება მშობიარობის ტიპის თაობაზე (ფიზიოლოგიური მშობიარობა თუ საკეისრო კვეთა).

1 მისგან განსხვავებით, აფრიკის რეგიონში საკეისრო კვეთების დონე საკმაოდ დაბალია – 3.5%

### 3 მეთოდოლოგია

#### 3.1 კვლევის ტიპი და პოპულაცია, ნიმუში

ეს კვლევა წარმოადგენს ჰვარედინ შედარებით და აღწერილობით კვლევას. წინამდებარების გათვალისწინებით:

- რეგიონალური გაფრცელება – აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონების და დედაქალაქის ჩათვლით;
- სამშობიარო სახლების ზომა: მათ შორის - პატარა (წელიწადში 200 მშობიარობაზე ნაკლები) და დიდი (წელიწადში 200 მშობიარობაზე მეტი);
- საკეისრო კვეთების რაოდენობა: მათ შორის - საკეისრო კვეთების მაღალი და დაბალი მაჩვენებლის მქონე სამშობიარო სახლები;
- სამშობიარო სახლების მენეჯმენტის სტრუქტურა: მათ შორის - კერძო და (ადრე) სახელმწიფო სამშობიარო სახლები.

ქვემოთ, 1-ელ ცხრილში მოცემულია საკვლევი პოპულაციის მიმოხილვა ამოცანებისა და წინამდებარების მიხედვით.

ცხრილი 1: საკვლევი პოპულაცია და წინამდებარება (ამოცანა)

მონაცემთა შეგროვება (ამოცანა)	საკვლევი პოპულაცია და წინამდებარების მოსალოდნელი ზომა	წინამდებარების მეთოდი და ფაქტობრივი ზომა
საკონტროლო კითხვარი სიმართლის წიგნებიდან და პაციენტების ისტორიებიდან მონაცემთა მოძიებისათვის (ამოცანა 4)	საკვლევი პოპულაცია: 95-სა და 114-ს შორის, 11 რეგიონიდან  წინამდებარების მოსალოდნელი ზომა: 14 სამშობიარო დაწესებულება რეგიონებიდან და თბლისიდან:  11 სამშობიარო სახლი და ეროვნული პოსპიტლების 3 სამშობიარო განყოფილება	მეთოდი: მიზნობრივი შერჩევა  წინამდებარების მოსალოდნელი ზომა: 19 სამშობიარო სახლი 6 რეგიონიდან და თბილისიდან, რომელთაგან:  - 1 ახალი გახსნილია  - 10 კერძო, 4 სააქციო საზოგადოება და 5 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  კომენტარები: წინამდებარების შესულ არცერთ სამშობიარო სახლს არ აქვს ეროვნული/ რეფერალური სტატუსი

### კვერცხი 1: საკვლევი პოპულაცია და ნიმუში

მონაცემთა შეგროვება (ამოცანა)	საკვლევი პოპულაცია და ნიმუშის მოსალოდნელი ზომა	ნიმუშის მეთოდი და ფაქტობრივი ზომა
ნამშობიარები ქალების გამოკითხვა სამშობიარო სახლიდან გაწერამდე  (ამოცანები 5, 6, 7)	<p>საკვლევი პოპულაცია: დაახლოებით 56 000, რომელთაგან:</p> <p>საკეისრო კვეთით ნამშობიარები 14 000 ქალი</p> <p>ფიზიოლოგიურად ნამშობიარები - 42 000 ქალი.</p> <p>ნიმუშის მოსალოდნელი ზომა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- 200 საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალი</li> <li>- 200 ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალი</li> </ul>	<p>მეთოდი: რეპრეზენტატული შერჩევა პატარა დაწესებულებებში; სისტემური შერჩევა შედარებით დიდ დაწესებულებებში (7-8 თითო დაწესებულებაში)</p> <p>ნიმუშის ზომა: საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალები: 119 - 15 სამედიცინო დაწესებულებიდან; ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალები: 175 - 19 სამედიცინო დაწესებულებიდან კომენტარები: ნიმუშის ზომა მოსალოდნელზე ნაკლები იყო, რადგან თითოეულ დაწესებულებაში 7-8 ქალის გამოკითხვა რთული აღმოჩნდა (ჩვენი ვიზიტის პერიოდში მშობიარობათა რაოდენობის სიმცირის ან პოტენციური რესპონდენტების უარის გამო)</p>
ინტერვიუები ორსულ ქალებთან  (ამოცანა 5, 6, 7)	5, 6, 7  ...  ...	<p>მეთოდი: რეპრეზენტატიული შერჩევა ქალთა საკონსულტაციო ცენტრებში</p> <p>ნიმუშის ზომა: 171 ქალი 15 სამედიცინო დაწესებულებიდან</p>
ინტერვიუები ბებიაქალებთან  (ამოცანა 4, 5)	<p>საკვლევი პოპულაცია: ქვეყნის მასშტაბით - 900 (2008 წ. მონაცემები)</p> <p>ნიმუშის მოსალოდნელი ზომა: 50</p>	<p>მეთოდი: რეპრეზენტატიული შერჩევა (3-4 თითოეული დაწესებულებიდან)</p> <p>ნიმუშის ზომა: 83 (18 სამედიცინო დაწესებულებიდან)</p> <p>კომენტარი: ნიმუშის ზომამ მოსალოდნელს გადააჭარბა, ბებიაქალთა მხრიდან კვლევაში მონაწილეობის ინტერესის გამო</p>
ინტერვიუები მეან- გინეკოლოგებთან  (ამოცანა 3)	<p>საკვლევი პოპულაცია: 1400</p> <p>ნიმუშის მოსალოდნელი ზომა: 30</p>	<p>მეთოდი:</p> <p>ნიმუშის ზომა:</p> <p>კომენტარები:</p> <p>რეპრეზენტატიული შერჩევა (2 - თითო სამედიცინო დაწესებულებიდან)</p> <p>109 (18 სამედიცინო დაწესებულებიდან)</p> <p>ნიმუშის ზომა მოსალოდნელზე დიდია მეან-გინეკოლოგთა მხრიდან კვლევაში მონაწილეობის ინტერესის გამო</p>

ნიმუშად აღებული 19 დაწესებულება წარმოადგენს მხოლოდ 19%-ს საქართველოში არსებული იმ სამშობიაროებისა და სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულებებისა, სადაც მშობიარობის მომსახურება ხორციელდება; მიუხედავად ამისა, 2010 წელს მათზე მოდიოდა სამედიცინო დაწესებულებებში რეგისტრირებულ მშობიარობათა დაახლოებით 44% და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საკეისრო კვეთების 43% (იხ. ქვემოთ ცხრილი 2)

ცხრილი 2: საკვლევ ნიმუშად აღებული 19 სამედიცინო დაწესებულება, საქართველოში არსებულ 98 დაწესებულებასთან მიმართებით.

	საქართველო (სულ)	ნიმუში	%
სამედიცინო დაწესებულებები, სადაც ხდება მშობიარობათა მიღება (მათ შორის, საკეისრო კვეთების ჩატანება)	98	19	19%
მეან-გინეკოლოგები	+/- 1 700	109	6-7%
პეზიაქალები	+/- 900	83	9-10%
მშობიარობათა რაოდენობა (2010 წ.)	61 653	27 137	44%
საკეისრო კვეთების რაოდენობა (2010 წ.)	19 418	8 446	43%
მშობიარობათა რაოდენობა (2009 წ.)	61 441		
საკეისრო კვეთების რაოდენობა (2009 წ.)	17 772		
მშობიარობათა რაოდენობა (2008 წ.)	55 850		
საკეისრო კვეთების რაოდენობა (2008 წ.)	13.870		

წყარო: NCDC-ს მონაცემები

### 3.2 მონაცემთა შეგროვება

კვლევის დაწყებამდე, მონაცემთა შეგროვებაზე წერართვის მისაღებად, კვლევის ადმინისტრატორი შერჩეულ ობიექტებს ეწვია. ყველა მათგანმა მათ სამშობიარო სახლში/სამშობიარო განყოფილებაში მონაცემთა შეგროვების წება დაგვრთო; რამდენიმე ობიექტი დამატებით იქნა შეტანილი; ეს მოხდა იმ გარემოების გამო, რომ ზოგიერთმა მოგვიერებით გამოთქვა კვლევაში მონაწილეობის სურვილი. ასევე, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი რაიონის სამი პატარა სამშობიარო სახლიდან ერთის ამორჩევის ნაცვლად, მასში ჩართული იქნა სამივე სამშობიარო სახლი.

მონაცემთა შეგროვება ხდებოდა შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- **საკონტროლო კითხვარი** სამშობიარო სახლებიდან/სამშობიარო განყოფილებებიდან მონაცემთა მისაღებად. დიდ დაწესებულებებში, სადაც თვეში 200-ზე მეტი მშობიარობა ტარდება, შეგროვდა უკანასკნელი სრული 1 თვის ინფორმაცია. პატარა დაწესებულებებში, სადაც თვეში 200-ზე ნაკლები მშობიარობა ტარდება, შეგროვდა უკანასკნელი 2 თვის ინფორმაცია. საკონტროლო კითხვარი შედგა „საკეისრო კვეთების კლასიფიკაციის რობინსონის სისტემის“ საფუძველზე (10 კლინიკურად რელევანტური კატეგორია).
- **კლიენტისათვის – სამი სხვადასხვა კითხვარი ნახევრად ღია შეკითხვებით, ქალთა სამი კატეგორიიდან თითოეულისათვის:**
  - ნამშობიარები ქალები (საკეისრო და ფიზიოლოგიური, მშობიარობიდან 1 ან 2 დღის შემდეგ);
  - ორსული ქალები (ორსულობის 25-ე და 32-ე კვირებს შორის), რომლებიც დადიან სამშობიარო სახლებში/სამშობიარო განყოფილებებში განთავსებულ ქალთა კონსულტაციებში. პრაქტიკული მიზეზების გამო ორსული ქალების პარტნიორები კვლევის არეალში ვერ მოხვდნენ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კვლევა არ მოიცავდა საკეისრო კვეთასთან, ორსულობასთან, ბავშვის მოვლასა და უსაფრთხო დედობასთან დაკავშირებული მოსაზრებების გენდერული კუთხით შესწავლას, ამიტომ კვლევაში მამაკაცები ჩართული არ იყვნენ. განსხვავებების გამოსაცვლენად (თუკი ასეთი არსებობს) საჭიროა შემდგომი კვლევა, რომელიც შეეხება უსაფრთხო დედობის, მშობიარობისათვის მზადყოფნის, მშობიარობის, ბავშვთა მოვლისადმი და ა.შ. დამოკიდებულებასა და პრაქტიკას.

- პროვინციული კითხვებისათვის – ორი სხვადასხვა კითხვარი ნახევრად ღია შეკითხვებით, ბებიაქალებისათვის და მეან-გინეკოლოგებისათვის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 3 გვიჩვენებს მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს და მონაწილეთა რაოდენობას თითოეულ კატეგორიაში. გამოკითხვები ჩატარდა 19 დაწესებულებაში, თუმცა საკონტროლო კითხვარი სიმართლის წიგნიდან მონაცემთა მისაღებად გამოყენებული იყო მხოლოდ 17 დაწესებულებაში. დანართ 1-ში მოცემული ცხრილი წარმოგვიდგენს ინსტრუმენტების, შედეგების ცვლადებისა და მონაცემთა წყაროების მიმოხილვას სხვა შედეგების ცვლადებთან მიმართებით. დანართ 2-ში მოცემული მიმოხილვა წარმოგვიდგენს რესპონდენტთა გადანაწილებას ჯანდაცვის 19 დაწესებულებაში.

ცხრილი 3: მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები	
საკონტროლო კითხვარი (სამშობიარო სახლები)	17
კითხვარი ორსული ქალებისათვის	171
კითხვარი ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალებისათვის	175
კითხვარი საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალებისთვის	119
კითხვარი ბებიაქალებისათვის	83
კითხვარი მეან-გინეკოლოგებისათვის	109

ყველა ინსტრუმენტი შემუშავდა ჭანდაცვის სისტემის კვლევის (HSR) ტრენინგ-სემინარის დროს 2010 წ. ოქტომბერში<sup>1</sup>, მკვლევართა ჯგუფის ერთობლივი ძალისხმევით. ერთ-ერთ სამშობიარო სახლში წინასწარი ტესტირების შემდეგ მოხდა კითხვარებისა და საკონტროლო ჩამონათვლის რევიზია, ადაპტირება და საბოლოო სახით ჩამოყალიბება. კვლევის ინსტრუმენტების საბოლოო ვარიანტები მოცემულია 3-8 დანართებში.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2010 წ. ნოემბრიდან 2011 წ. თებერვლამდე. მონაცემთა შემგროვებელი ჯგუფები დაკომპლექტდა ოთხი მკვლევარი ასისტენტისაგან (ბებიაქალები) და ერთი მკვლევარისაგან (გინეკოლოგი, ჯგუფის ხელმძღვანელი). ყოველი ჯგუფი მოიცავდა კონკრეტულ რეგიონს, რაც გულისხმობდა თითოეულ რეგიონის სამშობიარო სახლსა თუ სამშობიარო განყოფილებაში მუშაობას 4 დღის, ხოლო თბილისა და რუსთავში – 2 დღის განმავლობაში. კვლევას ზედამხედველობას უწევდა მთავარი მკვლევარი. ჯგუფების შემადგენლობა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები იხ. დანართ 9-ში.

მონაცემთა შეგროვების შემდეგ თითოეული კითხვარი დაინომრა, კატეგორიებად დაიყო და მიენიჭა კოდები. ღია კითხვებზე გაცემული კოდირებული პასუხები დახურულ კითხვებზე გაცემულ პასუხებთან ერთად შეტანილ იქნა მონაცემთა ბაზაში. 2011 წ. მარტში დაგეგმილი მონაცემთა დაცვა სემინარის დაწყებამდე ჯგუფმა ჩატარა მონაცემთა წინასწარი ანალიზი და განიხილა შედეგები და დასკვნები.

### 3.3 ეთიკური მოსაზრებები

ყოველი ინტერვიუს დაწყებამდე რესპონდენტს იღებდა კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიას. თითოეულ კითხვარში აღნიშნული იყო: “ყველა პასუხი იქნება კონფიდენციალური და დაცვალებები ანონიმურად; ასე რომ, შეგიძლიათ თავისუფლად ისაუბროთ”. ინტერვიუ იწყებოდა ინფორმირებულ თანხმობის შემდეგ; ინტერვიუერები ცდილობდნენ ინტერვიუები ჩატარებინათ წყნარ და ნეიტრალურ გარემოში. მონაცემთა დამუშავება განხორციელდა ანონიმურობის დაცვით.

<sup>1</sup> 2010 წლის ოქტომბერში და 2011 წ. მარტში ორგანიზებული იყო ჭანდაცვის სისტემის კვლევის (HSR) სემინარები (თითოეულ ერთი კვირის განმავლობაში). პირველის მიზანი იყო ჯგუფებისთვის HSR-ის გაცნობა; კვლევის დიზაინისა და კვლევის ინსტრუმენტების ერთობლივად შემუშავება და საველე მუშაობის ორგანიზება. მეორე სემინარი მიეძღვნა მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტაციას, კვლევის ანგარიშის პირველი სამუშაო ვერსიის შემუშავებას და წინასწარი შედეგების პრეზენტაციას, რამდენიმე მოწვევული სტუმრისაგან უკუკავშირის მისაღებად.

### 3.4 კვლევის შეზღუდვები

დიზაინი

- კლიენტთა კითხვარის ხარვეზი: მიუხედავად იმისა, რომ ვეკითხებოდით, იყვნენ თუ არა დაზღვეულები (და ნაწილობრივ იყვნენ დაზღვეულები თუ - სრულად), კითხვარში არ შეგვიტანია დამატებითი შეკითხვები მშობიარობის ფაქტობრივ ღირებულებასთან დაკავშირებით.
- კლიენტთა კითხვარის ხარვეზი: ეთნიკური წარმომავლობა განისაზღვრებოდა მხოლოდ საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების კითხვარში; ამიტომ შეუძლებელი გახდა ამ ასპექტით სამი ჯგუფის შედარება.
- კლიენტთა კითხვარის ხარვეზი: შეკითხვა, რომელიც ეხებოდა ეხებოდა მომავალი ორსულობის შემთხვევაში მშობიარობის სასურველი ტიპის არჩევას, დაესვათ მხოლოდ საკეისრო კვეთით ნამშობიარებ და ორსულ ქალებს, რის გამოც შეუძლებელი გახდა ამ ასპექტით ჯგუფების შედარება.
- კვლევა არ შეხებია მამაკაცებისა და საზოგადოების პოზიციას უსაფრთხო დედობასთან, მშობიარობისათვის მზადყოფნასთან, მშობიარობასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით. ეს იყო გააზრებული არჩევანი შეზღუდული დროისა და მკვლევართა ჯგუფის ინტერესის გათვალისწინებით.

### მონაცემთა შეგროვება

ყველა სიმართლის წიგნი არ იყო სათანადო შევსებული, აქედან გამომდინარე, მკვლევარებს ყოველთვის არ შეეძლოთ საკონტროლო კითხვარით გათვალისწინებულ მონაცემთა მიღება.

- არასრულყოფილი ინფორმაციის გამო, ორი სამშობიარო სახლი ამოღებული იყო სიმართლის წიგნების ანალიზიდან.
- შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში პასუხებზე გავლენა იქონია თავად რესპონდენტთა შიშმა ან შეშფოთებამ ინტერვიუს მიზანთან დაკავშირებით \_ ხომ არ იმოქმედებდა შედეგები მათ დაწესებულებებზე და პირადად მათზე.
- ენობრივი ბარიერები: სამი თუ ოთხი კლიენტის გამოკითხვა შეუძლებელი გახდა ენობრივი ბარიერის გამო. ოთხი ინტერვიუ ჩატარდა თარჯიმნის დახმარებით, რამაც, შესაძლოა, მიღებული პასუხების სრულყოფილებაზე იმოქმედა.
- ზოგიერთ დაწესებულებაში რთული იყო წყნარი/მყუდრი გარემოს პოვნა ინტერვიუს ჩასატარებლად, განსაკუთრებით - კლიენტების გამოსაკითხად. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში ამ გარემოებამ მიღებული პასუხების ხარისხზე იმოქმედა.

## 4. შედეგები

### 4.1 მშობიარობასთან დაკავშირებული ტენდენციები და რეგიონალური სხვადასხვაობა საქართველოში

გასული ათი წლის განმავლობაში საკეისრო კვეთის შემთხვევებმა იმატა; კერძოდ, თუ 2000 წელს 9,3%-ს შეადგენდა, 2009 წელს უკვე 31,5%-მდე გაიზარდა. იმავე პერიოდში ბუნებრივ მშობიარობათა რიცხვი შემცირდა (ფიზიოლოგიური მშობიარობა 79%-დან 63%-მდე; ხოლო პათოლოგიური ბუნებრივი მშობიარობა 12%-დან 6%-მდე).

მე-10 დანართში ცხრილის სახით წარმოდგენილია საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (NCDC) მონაცემები უკახასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში აღრიცხულ მშობიარობათა შესახებ. ცხრილი და ქვემოთ მოცემული სურათი გვიჩვენებს რამდენიმე ტენდენციას, რომლებიც შეიძლება უფრო დეტალურად განვიხილოთ.

ცსლილი 4: დაგეგმილი და გადაუდებელი საკეისრო კვეთების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2000-2010


		2000	2006	2007	2008	2009	2010
მშობიარობა ფანდაციის დაწესებულებებში		45 156	47 593	49 317	55 850	61 441	61 653
დაგეგმილი საკეისრო კვეთა*	I საკეისრო	1 164	3 046	3 150	4 034	5 065	6 225
	განმეორებითი	871	1 865	2 154	2 900	3 433	3 993
გადაუდებელი/სასწრაფო საკეისრო კვეთა**	I საკეისრო	1 754	3 726	4 172	5 176	6 975	6 495
	განმეორებითი	593	1 277	1 468	1 760	2 249	2 705
სულ საკეისრო კვეთა ***		4 382	9 934	11 008	13 870	17 722	19 418
საერთო საკეისრო კვეთების პლატფორმა		9.3%	20.9%	22.3%	24.8%	28.8%	31.5%

\* დაგეგმილი საკეისრო კვეთა (სამედიცინო ჩვენება ან კლიენტის მოთხოვნა)

\*\* გადაუდებელი/სასწრაფო საკეისრო კვეთა; გადაწყდა სამშობიარო მოქმედების დაწყების შემდეგ

\*\*\* დაუდგენელი (20 - 2006 წ. და 64 - 2007 წ.)

სურათი 1: მშობიარობათა (ფიზიკური (VD) და საკეისრო (CS) პროცენტული წილი სამშობიარო სახლებში მიღებულ მშობიარობათა საერთო რაოდენობაში.




მშობიარობის შესახებ არსებულ ეროვნულ მონაცემებში არ არის განსაზღვრული საკეისრო კვეთის მიზეზები, რაც შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რამდენი საკეისრო კვეთა გაკეთდა ექიმის დანიშნულების საფუძველზე (და რა სახის სამედიცინო ჩვენების საფუძველზე). ქვემოთ მოცემულია დასკვნები განხილული ტენდენციების შესახებ:

- საკეისრო კვეთით ჩატარებული მშობიარობის პროცენტული მაჩვენებელი 9,3%-დან (2000 წ.) გაიზარდა 31,5%-მდე (2010 წ.), ანუ 10 წლის განმავლობაში გასამმაგდა.
- შეიძლება ითქვას, რომ საკეისრო კვეთათა მაჩვენებლის ზრდა, რომელიც 2008 - 2009 წლებიში დაფიქსირდა, მოხდა უფრო მეტად - პირველადი სასწრაფო საკეისრო კვეთების რაოდენობის მატების და შედარებით ნაკლებად - დაგეგმილი საკეისრო კვეთების რაოდენობის მატების ხსრუბე.
- საკეისრო კვეთათა, დაახლოებით, 50% დაგეგმილია წინასწარ, ანუ ორსულობის განმავლობაში, ხოლო მეორე ნახევარი მოიცავს გადაუდებელ საკეისრო კვეთებს, ანუ გადაწყვეტილება საკეისრო კვეთის გაკეთების შესახებ მიღებულ იქნა მშობიარობის დაწყების შემდეგ. დაგეგმილ

და გადაუდებელ საკეისრო კვეთათა შეფარდება თანაბარია (50%-50%) ბოლო დროის განმავლობაში.

- განმეორებითი მშობიარობის შემთხვევაში დაგეგმილი საკეისრო კვეთების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა უდიდესი იყო (სხვა კატეგორიებთან შედარებით) გასულ დეკადაში: 20% 2000 წელს და 39% 2010 წელს. იხ. ცხრილი 2 ქვემოთ.

**სურათი 2: საკეისრო კვეთების ტენდენცია (საერთო დაგეგმილ/გადაუდებელ საკეისრო კვეთათა პროცენტული მაჩვენებლის სახით)**



#### 4.2 იმ სამედიცინო დაწესებულებათა პროფილი, რომლებიც მშობიარობათა მომსახურებას ახორციელებენ

რეფორმის პროცესში ჭანდაცვის სექტორში მრავალი ცვლილება განხორციელდა. კლიენტებს მოთხოვნათა დაკმაყოფილების მხრივ, ყველაზე უფრო თვალშისაცემი იყო ჭანმრთელობის დაზღვევისა და სამედიცინო სერვისების საფასურის შემოღება. ბევრი რამ შეიცვალა სამედიცინო სერვისების შთავაზების მხრივაც: სახელმწიფო განახორციელა სამშობიარო სახლების კერძო სექტორისათვის გადაცემა, ხოლო იმ სამშობიარო სახლებს, რომლებიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშდარჩა, "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების" (მპს) სტატუსი მიენიჭა. ამცვლილებებმა დიდი გავლენა იქონია როგორც კლიენტებზე, ისე პროვაიდერებზე. მას შემდეგ, რაც 2003 წელს სოციალური დაზღვევა გაუქმდა, საქართველოში ჭანმრთელობის დაზღვევას მთლიანად კერძო სექტორი ფარავს.

სამედიცინო პერსონალმა 1996 წელს დაკარგა სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსი და ეტაპობრივად ყველა დაწესებულებამ მოიპოვა ავტონომია, საკუთარი ავტონომიური მართვის სტრუქტურით. 2011 წლის მდგომარეობით, თითქმის ყველა სანედიცინო დაწესებულება პრივატიზებულია დამოუკიდებელი შპს-ს, სააქციო საზოგადოების (სს) ან კერძო სტატუსით და ისინი კერძო პირების ან სადაზღვევო კომპანიების მფლობელობაშია.

კვლევაჩატარდა საქართველოს ექვს რეგიონსა და თბილისში არსებულ ცხრამეტ სამშობიარო სახლსა და სამშობიარო განყოფილებაში<sup>1</sup>. ისინი განსხვავდებოდნენ გეოგრაფიული აღგილმდებარეობისა და სიდიდის მიხედვით. კვლევისას შეფასდა მათი პროფილი. შედეგად, ჩამოყალიბდა შემდეგი სახის კლასიფიკაცია:

<sup>1</sup> სამშობიარო სახლები და სამშობიარო განყოფილებები ბრუნავს ქალებზე ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდეგ, ასევე ახალშობილზეც; სამშობიარო განყოფილება განლაგებულია არასპეციალიზებულ საავადმყოფოში, ხოლო სამშობიარო სახლი დამოუკიდებელი დაწესებულებაა.

- ცხრამეტიდან ათი კერძო სამშობიარო სახლია, ხუთი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ოთხი - ე.წ. სააქციო საზოგადოება.
- ოთხი სამშობიარო განყოფილება რეგიონალური ან რაიონული საავადმყოფოების ნაწილს წარმოადგენს (ზოგიერთი მათგანი სააქციო საზოგადოებაა, ზოგი კი - კერძო) და სხვა სამედიცინო განყოფილებებთან ერთად ერთ შენობაში მდებარეობს.
- ერთ-ერთი კერძო სამშობიარო სახლი ახლახან დაარსდა (2010 წლის შუა პერიოდში).

### **ქვემოთ მოცემულია დაკვირვებათა მოკლე მიმოხილვა და კვლევითი ჯგუფის კომენტარები:**

- საკვლევ ნიმუშად შერჩეული სამედიცინო დაწესებულებების უმეტესი ნაწილი განლაგებულია საბჭოთა პერიოდის ნაგებობებში. მხოლოდ ოთხი სამშობიარო სახლია განთავსებული ახალ შენობებში. ზოგიერთ სამშობიარო სახლს/სამშობიარო განყოფილებას წყალმომარაგებისა და ჰიგიენის პრობლემები აქვს. შრომის, ჰანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოშიაშენდება 46ახალისაავადმყოფო, რომლებსაც დააფინანსებს სადაბლვევო კომპანიები და მათ მფლობელობაში იქნება. სადაბლვევო კომპანიებმა ქვეყნა გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით გადაინაწილეს. (საქართველოს შრომის, ჰანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2010).
- ამ გადაწყვეტილებამ იმოქმედა შენობების განახლების გეგმებზე, რომლებიც უმეტესწილად შეჩერებულია. ამით აიხსნება კვლევის მონაწილე რამდენიმე სამშობიარო სახლის არასახარბიელო მდგომარეობა. გვასაგები ხდება ისიც, თუ რატომ განიცდის ყოფილი საჭარო სამშობიარო სახლების სამედიცინო პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივაციის ნაკლებობას, იმუშაოს ახალი გაიდლინებისა და პროტოკოლების მიხედვით. ბევრს ეშინია სამსახურის დაკარგვის, რადგანაც შესაძლოა სადაბლვევო კომპანიებმა არსებული შტატის მხოლოდ მცირე ნაწილი დაასაქმოს.
- სამშობიარო სახლებისა და სამშობიარო განყოფილებების უმეტესობას საკუთარი წესები, რეგულაციები და სტანდარტები აქვს. არ არსებობს ერთიანი ეროვნული მიდგომა. სამშობიარო სახლებში/სამშობიარო განყოფილებაში მშობიარობის და საკეისრო კვეთის საფასური განსხვავებულია. მშობიარის მოთხოვნით ჩატარებული საკეისრო ოპერაციების რიცხვის შემცირების მიზნით, ერთ-ერთმა სამედიცინო დაწესებულებამ შემოიღო გაზრდილი საფასური პაციენტის მოთხოვნით ჩატარებულ საკეისრო კვეთაზე - 1900 ლარი; ეს მშობიარობის საშუალო ფასზე - 400 ლარზე 2-4-ჯერ მეტია. თუმცა ამ ქმედებამ ვერ აიძულა კლიენტები გადაეფიქრებინათ საკეისრო კვეთის გავეთება; პირიქით, მათ არჩევანი მეზობლად მდებარე სამშობიარო სახლებზე გადაიტანეს, სადაც ასეთი ოპერაცია ბევრად იაფი ღირს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - 750 ლარი). ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ერთ სამშობიარო სახლს გაფართოვდეს მეორის ხარჯზე, აგრეთვე აშვარას ხდის, რომ საკეისრო კვეთის ზრდის ტენდენციის რევერსირების ინიციატივის შედეგი მინიმალური იქნება, თუ ამგვარ ქმედებას მიმართავს მხოლოდ ერთი დაწესებულება, სხვა კლინიკებთან კოორდინაციის გარეშე და თუ მათ მხარს არ დაუჭერს ეროვნული პოლიტიკა.
- სახელმწიფომ შემოიღო სადაბლვევო პროგრამა (ჰანმრთელობის სახელმწიფო დაბლვევა) მოსახლეობის დაუცველი სეგმენტისათვის (სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობა, მასწავლებლები, სამხედრო მოსამსახურები და სხვ.), რომლის მიხედვითაც, საკეისრო კვეთისა და ფიზიოლოგიური მშობიარობის ღირებულება ერთნაირია, კერძოდ - 400 ლარი. ეს თანხა არ არის საკმარისი საკეისრო კვეთის ხარჯების დასაფარავად, რაც ფინანსურ პრობლემას უქმნის კლინიკებს. ზოგიერთი სამშობიარო სახლის დირექტორის აზრით, სიტუაციას ამწვავებს ასევე სადაბლვევო კომპანიებიდან გადარიცხვების დაგვიანება.
- სამშობიარო სახლის/სამშობიარო განყოფილების ხელმძღვანელობა თავისუფალია სამედიცინო პერსონალის დაქირავებაში. ამან გამოიწვია შტატის უჩვეულო მოდელი: მაგალითად, ერთ-ერთ სამშობიარო სახლში არ ჰყავთ ბებიაქალი; მეორე დაწესებულებაში, ქალთა საკონსულტაციი ცენტრში, გინეკოლოგის ნაცვლად რეპროდუქტიული ჰანმრთელობის სპეციალისტი მუშაობს. ამავე სამშობიარო სახლში ერთი და იგივე პიროვნებას უკავია ანესთეზიოლოგისა და ულტრაბგერითი გამოკვლევის სპეციალისტის თანამდებობა.

- სამშობიარო სახლების/სამშობიარო განყოფილების მენეჯერთა უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა ბებიაქალებისა და ექიმების დაბალ კვალიფიციაზე და აღნიშნა უწყვეტი სამედიცინო განათლების აუცილებლობა. კვლევაში მონაწილე სამშობიარო სახლების/სამშობიარო განყოფილების დაახლოებით ნახევარი თანამშრომლობდა “ჭონ სნოუს ინსტიტუტთან”, სადაც აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებდა პროგრამას “ჭანმრთელი ქალი საქართველოში” (*‘Healthy Women in Georgia’*); ამავე ინსტიტუტმა სხვა კლინიკებშიც ჩაატარა ექიმებისა და ბებიაქალებისათვის განკუთვნილი ტრენინგები. თუმცა ყველა მენეჯერი არ არის მოწადინებული მიიღოს და/ან გაატაროს ახალი რეგულაციები და ინოვაციები და გააუმჯობესოს მომსახურეობა. ზოგიერთს მიაჩნია, რომ დაწესებულების ფიზიკური ინფრასტრუქტურა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება.
- 19 დაწესებულებიდან ოთხი გამორჩეულია მშობელთა დახმარებისა და განათლების კუთხით, ისინი ამუშავებენ მშობელთა სკოლებს ჭანდაცვის დაწესებულებებში. სამ მათგანში გინეკოლოგები ატარებენ მეცადინეობებს ორსული ქალებისათვის, ხოლო ერთ-ერთი დაწესებულების მშობელთა სკოლაში ბებიაქალებიც არიან ჩართულნი. მშობელთა სკოლის მეცადინეობებზე დასწრება უფასოა. (იხ. შემთხვევების განხილვა ქვემოთ).
- ენდოტრაქეალური მეთოდი ანესთეზის პოპულარული მეთოდია, რომელსაც იყენებს დაწესებლებათა უმრავლესობა; მხოლოდ მცირე ნაწილი მიმართავს სპინალურ ან ეპიდურულ ანესთეზიას.
- თბილისის ერთი (კერძო) კლინიკა მრავალი ნიშნით გამოირჩევა. ჭერ ერთი, ამ სამშობიარო სახლშისაცემისროკვეთებისერთ-ერთიყველაზემცირემაჩვენებელიაქვეყნაში. ასევესამშობიარო სახლის მენეჯმენტი ბებიაქალის როლს განიხილავს ორსულსა და მეან/გინეკოლოგს შორის შუალედურ რგოლად პერინატალურ პროცესში, ხელს უწყობს მათ ტრენინგებში მონაწილეობას და პროფესიულ ზრდას, ახორციელებს ღონისძიებებს მათი როლის გასაზრდელად და პერინატალურ პროცესში ჩასართავად; ამით საშუალებას აძლევს, სრულად გამოიყენონ თავიანთი ძირითადი კომპეტენციები. სამშობიარო სახლში ბებიაქალები მონაწილეობენ ანტენატალურ მოვლის პროცესში და მშობელთა სკოლის მუშაობაში. დამოუკიდებლად უწევენ მონიტორინგს ჭინთვების პერიოდს პარტოგრამის გამოყენებით, მონაწილეობენ “თბილი ჭაჭვში”<sup>1</sup>, ასევე მშობიარობის მესამე სტადიის აქტიურ მართვაში. სამშობიარო სახლში ტარდება მშობიარეთა სიკვდილიანობის აუდიტი. იგი მისდევს საერთაშორისო სტანდარტებს.

<sup>1</sup> „თბილი ჭაჭვი“ არის ათი ურთიერთდაკავშირებული პროცედურის კომპლექსი, რომელსაც ატარებენ მშობიარობის დროს და ბავშვის დაბადების შემდეგ რამდენიმე საათისა და დღის განმავლობაში, ახალშობილის ჰიპოთერმიის ალბათობის მინიმიზაციის მიზნით: თბილი სამშობიარო ოთახი, მყისიერად გაშრობა, თბილი რეანიმაცია, თბილი ტრანს-პორტირება, კანი-კანთან კონტაქტი, ძეტუთი კვება, აბაზანის გადაფადება, სათანადო ტანსაცმელი და ლოგინი, დედისა და ახალშობილის ერთ პალატაში მოთავსება.

## გუგდიდის სამშობიარო სახლი

კვლევით ჰგუფს შესაძლებლობა პქონდა დასწრებოდა მშობელთა სკოლის შევრებას ზუგდიდში. ეს სკოლა არის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს - "რესპუბლიკის" ქალთა კონსულტაციის ცენტრის ნაწილი (2010 წელს საავადმყოფოს ეწოდა "წმინდა ლუკას" საავადმყოფო). მშობელთა სკოლა დაარსდა ჭონ სნოუს ინსტიტუტის მხარდაჭერით. ამ სკოლისათვის განკუთვნილი ოთახი მდებარეობს ქალთა საკონსულტაციო ცენტრის გვერდით და აქვს ტელევიზორი, DVD, სავარჯიშო ბურთები, მრავალი პლაკატი და ბროშურა მშობიარობის, ძუძუთი კვებისა და ოჭახის დაგეგმვის შესახებ. ფასილიტატორია სამშობიარო განყოფილების გინეკოლოგი. მონაწილეები არიან სხვადასხვა პერიოდის ორსული ქალები და მათი პარტნიორები, დედები და/ან დედამთილები. მშობელთა სკოლაში მეცადინეობა ტარდება კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით.

კვლევითი ჰგუფის ვიზიტის დროს მონაწილეები უყურებდნენ ძალიან საინტერესო ფილმს ორსულობასა და მშობიარობაზე. ფილმის შემდეგ იმსჯელეს ქალის კვებაზე ორსულობის დროს. ფასილიტატორმა ქალებს მომდევნო დისკუსიისათვის შეკითხვების მომზადება სთხოვა. შეხვედრის ბოლოს მან ბუკლეტები დაარიგა.

### შემთხვევის განხილვა: ზესტაფონის მშობელთა სკოლა


ზესტაფონი იმერეთის რეგიონში მდებარეობს. იქ არსებობს სამშობიარო სახლი, რომელიც დახმარებას იღებს ჭონ სნოუს ინსტიტუტისაგან. სიმართლის წიგნები წარმოებულია უახლესი რეგულაციების შესაბამისად. დაწესებულების მენეჯერი ყოველთვის ცდილობს დანერგოს ახალი რეგულაციები და პროტოკოლები.

ქალთა საკონსულტაციო ცენტრი და მშობელთა სკოლა სამშობიარო სახლშია განლაგებული. სკოლა კვირაში ერთ დღეს მუშაობს და ემსახურება ორსულ ქალებს და მათი პარტნიორებს თანმხელებ პირებს. ოთახში დგას კომფორტული ავეჯი, არის "შვედური კედელი", ტელევიზორი, DVD, პლაკატები და ბროშურები მშობიარობის, ძუძუთი კვებისა და ოჭახის დაგეგმვის შესახებ. მონაწილეები ინფორმაციას და რჩევებს იღებენ ორსულობის, მშობიარობის სტადიების, ძუძუთი კვების, ქალთა კვების და სხვა საკითხების ირგვლივ. სკოლა საშუალებას აძლევს ქალებს უკეთ მომზადონ მშობიარობისათვის, განსაკუთრებით - ფსიქოლოგიურად. სამშობიარო სახლის ბებიაქალები და გინეკოლოგები დარწმუნებული არიან მშობელთა სკოლის სარგებლიანობაში, იმ ქალების/წყვილების შედარების საფუძველზე, რომლებიც დადიოდნენ მათ სკოლაში და რომლებიც არ დადიოდნენ.

### 4.3 მშობიარობათა და საკეისრო კვეთათა სქემა კვლევაში მონაწილე სამშობიარო სახლებისა და სამშობიარო განყოფილებების მიხედვით

მე-3 სურათზე მოცემულია კვლევაში მონაწილე 18 სამშობიარო სახლის შედარება, დაწესებულებებში მშობიარობათა საერთო რაოდენობის, მათ შორის - ფიზიოლოგიური მშობიარობისა და საკეისრო კვეთების რაოდენობის გათვალისწინებით. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემები<sup>1</sup> წარმოაჩენს არსებით სხვაობას საკეისრო კვეთების მაჩვენებლებში: 5,4% – ერთ-ერთი რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში და 50%-ზე მეტი – სამ დაწესებულებაში: 55,7% "ყამბარაშვილის კლინიკაში" (თელავი), 63,3% სამშობიარო სახლში "სენა-მედი" (სენაკი) და 78,9% სამშობიარო სახლში "ბო-მონდი" (ქუთაისი).

სურათი 3: ფიზიოლოგიურ მშობიარობათა და საკეისრო კვეთათა რაოდენობა კვლევაში მონაწილე 18 სამშობიარო სახლსა და სამშობიარო განყოფილებაში 2009წ.



ცხრილი 5 გვიჩვენებს, რომ საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი შეზღუდული ჰასუხისმგებლობის დაწესებულებებში ზევრად ნაკლებია, ვიდრე კერძო და სააქციო საზოგადოების სტატუსის მქონე დაწესებულებებში: 19,7% და 32-33% (დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემები)

ცხრილი 5: საკეისრო კვეთათა პროცენტი 2009წ. დაწესებულების ტიპის მიხედვით

	მშობიარობათა რაოდენობა	საკეისროს რაოდენობა	საკეისროს პროცენტული მაჩვენებელი
შპს (n=5)	3 123	615	19.7%
სააქციო საზოგადოება (n=4)	7 081	2 362	33.4%
კერძო (n=9)	16 934	5 469	32.3%
სულ	27 138	8 446	31.1%

#### 4.4 სიმართლის წიგნების ანალიზი

კვლევაში ვერ განხორციელდა ორი სიმართლის წიგნის ანალიზი, რადგან ერთ შემთხვევაში წიგნი ვიზიტისას წიგნი ადგილზე არ დაგვხვდა, ხოლო მეორე შემთხვევაში არ იყო შევსებული 10 საკლასიფიკაციო კატეგორიის მიხედვით. ამიტომ შეუძლებელი გახდა სამედიცინო დიაგნოზების დადგენა. იმ სამშობიარო სახლებიდან, სადაც თვეში 200-ზე ნაკლები მშობიარობაა (14 დაწესებულება), კვლევის ჭავლის შემთხვევაში მონაცემები; დანარჩენ 4 დაწესებულებაში მოძიებულ იქნა ერთი თვის მონაცემები.

ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები მოიცავს 3040 მშობიარობის ანალიზს სხვადასხვა სიმართლის წიგნის მიხედვით.

## შედეგები

საკეისრო კვეთა და ფიზიოლოგიური მშობიარობა: საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე (32%) მაღალია. ოდნავ მაღალი პროცენტი აქვს პირველი მშობიარობის დროს გაკეთებულ საკეისრო კვეთას (55%, ხოლო განმეორებითს - 45%).

ფიზიოლოგიური მშობიარობის 65%-იან მაჩვენებელში პირველი და განმეორებითი მშობიარობების წილი დაახლოებით თანაბარია 50/50% (თანაბარია ყველა ტიპის სამშობიარო დაწესებულებაში (იხ. ცხრილი 6))

ცხრილი 6: პირველი და განმეორებითი მშობიარობის პროცენტული მაჩვენებლები					
		შპს	კერძო	სს	სულ
ფიზიოლოგიური (n=1 970)	პირველი	52%	49%	50%	50%
	განგანმეორებითი	48%	51%	50%	50%
საკეისრო (n=1 070)	პირველი	56%	52%	63%	55%
	განმეორებითი	44%	48%	37%	45%

შემდეგ დაული პასუხისმგებლობის დაწესებულებებში საკეისრო კვეთის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე და ნიმუშზე (18%); ეს რიცხვი უფრო მაღალია კერძო დაწესებულებებში და საქციო საზოგადოებებში: შესაბამისად - 40% და 35% (იხ. ცხრილი 7).


ცხრილი 7: საკეისრო კვეთისა და ფიზიოლოგიური მშობიარობის მაჩვენებლები სამშობიარო სახლებსა და სამშობიარო განყოფილებებში				
	შპს	კერძო	სს	სულ
სულ ფიზიოლოგიური	360 (82%)	1 034 (60%)	576 (65%)	1 970
სულ საკეისრო	81 (18%)	678 (40%)	311 (35%)	1 070
ჯამი	441	1 712	887	3 040

რეგიონალური ცვლილებები: რეგიონებში ჩატარებული საკეისრო კვეთის მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება: ერთ რეგიონში 77%, დანარჩენ ორ რეგიონში კი - 10%.

ხელდახმარების მეთოდების გამოყენებით ჩატარებული ფიზიოლოგიური მშობიარობა: არც ერთ სამშობიარო სახლში არ იყო გამოყენებული მაშები. მხოლოდ ცხრა მშობიარობა ჩატარდა ვაკუუმის დახმარებით. ეს ციფრი ძალიან დაბალ მაჩვენებლადაა მიჩნეული და შეიძლება მიუთითებდეს ამ პროცედურის შესასრულებლად საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაკლებობაზე. ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს მაშების ან ვაკუუმის სწორად გამოყენებით შესაძლებელია ქირურგიული ჩარევის თავიდან აცილება.

ასაკობრივი სტრუქტურა: მშობიარეთა (ფიზიოლოგიური და საკეისრო) უდიდესი ნაწილი 21-დან 35 წლამდე ასაკისაა. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება საკეისრო კვეთის რაოდენობაც: 20-წლამდე ასაკში - 30%, 21-35 წლის ასაკში - 36%-მდე; 36 წელზე ზემოთ - 56%.

ნახაგი 4: ასაკობრივი მაჩვენებლები მშობიარობის ტიპის მიხედვით (ფიზიოლოგიური (VD) და საკეისრო (CS))



მშობიარობის ტიპის გათვალისწინებით, შემდეგი დასკვნების გავეთება შეიძლება:

- ქალების უმრავლესობა (ფიზიოლოგიური და საკეისრო მშობიარობით) მშობიარობს კერძო სამშობიარო სახლებში. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია სამივე ასაკობრივ ჯგუფში.
- 36 წლის უფროსი ასაკის ქალები, დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, მშობიარობის დროს უპირატესობას კერძო სექტორს ანიჭებენ (კერძო და სააქციო საზოგადოებას) როგორც ფიზიოლოგიური, ასევე საკეისრო კვეთის შემთხვევებში. საკეისრო კვეთის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ იცვლება ასაკის ან დაწესებულების ტიპის მიხედვით, გარდა 36 წლის უფროსი ასაკის ქალებისა, რომელთაგან მხოლოდ ერთმა გაიკეთა საკეისრო კვეთა შპს-ში.

ცხრილი 8: მშობიარობის ტიპი ასაკის მიხედვით

ასაკი	ფიზიოლოგიური (n= 1 890)				საკეისრო (n=1 063)			
	შპს	კერძო	სს	სულ	შპს	კერძო	სს	სულ
<b>≤20</b>	15%	57%	28%	<b>364</b>	7%	66%	27%	<b>153</b>
<b>21-35</b>	16%	53%	31%	<b>1 453</b>	8%	64%	28%	<b>816</b>
<b>≥ 36</b>	10%	74%	16%	<b>73</b>	1%	61%	38%	<b>94</b>

\* სიმართლის წიგნებში ქალთა ასაკობრივი მონაცემების შესახებ გაკეთებული ჩანაწერების არასრულობის გამო ფიზიოლოგიურ და საკეისრო მშობიარობათა საერთო რაოდენობა განსხვავდება 6 და 7 ცხრილების ჭამური რიცხვებისაგან.

ნაყოფის მდებარეობა მშობიარობის დროს: კეფით-წინ მდებარეობა მენტით-წინ მდებარეობა, მრავალნაყოფიანი და გარდიგარდმო<sup>1</sup>


ცხრილი 9 გვიჩვენებს, თუ როგორი წინმდებარეობის დროს მიმართეს საკეისრო კვეთის ოპერაციას; ორსულობის პერიოდის (37 კვირაზე ნაკლები ან მეტი) და იმის გათვალისწინებით, გამოიყენეს თუ არა სტიმულაცია

ცხრილი 9: მშობიარობის ტიპი კეფით-წინ მდებარეობის შემთხვევაში; ორსულობის პერიოდის და სტიმულაციის (გამოიყენების ან არგამოიყენების) მიხედვით

	კეფით-წინ მდებარეობა სტიმულაციით (> 37 კვ.)	კეფით-წინ მდებარეობა სტიმულაციის გარეშე (> 37 კვ.)	კეფით-წინ მდებარეობა სტიმულაციის გარეშე (< 37 კვ.)
ფიზიოლოგიური	18 (31%)	1 873 (76%)	54 (59%)
საკეისრო	41 (69%)	604 (24%)	38 (41%)
სულ	59	2 477	92

კეფით-წინ მდებარეობა, 37 კვირაზე მეტი ხნის ორსულობა (სტიმულაციის გარეშე): ასეთი შემთხვევების 24% საკეისრო კვეთით დასრულდა (2477-დან 604). საკეისრო კვეთა ამ კატეგორიაში უფრო ხშირია პირველი მშობიარობის დროს (იხ. ნახატი 5).

#### სურათი 5: კეფით-წინ მდებარეობა, 37 კვირაზე მეტი (სტიმულაციის გარეშე)



საკეისრო კვეთის უმცირესი რისკის ჯგუფს (საშუალოდ 2-3%) განეკუთვნება: განმეორებითი ფიზიოლოგიური მშობიარობა ერთი ნაყოფით და კეფით-წინ მდებარეობით (>37 კვირის ორსულობა სტიმულაციისა და სპონტანური მშობიარობის გარეშე). კვლევის მონაცემებით, ამ ქვეკვუფში დაიფიქსირდა 15%-იანი მაჩვენებელი, რაც ნიშნავს, რომ საკეისრო კვეთის საშუალობები მაღალი პროცენტი სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარდა (იხ. ცხრილი 10).

საკეისრო კვეთის შედარებით დაბალი რისკის მეორე ჯგუფს (საშუალოდ 14-15%) განეკუთვნება: პირველი მშობიარობა ერთი ნაყოფით, კეფით-წინ მდებარეობით (>37 კვირის ორსულობა სტიმულაციისა გარეშე). ამ ქვეკვუფში საკეისრო კვეთის მთავარი მიზეზები შესაძლოა ყოფილიყო მშობიარობის დროს წარმოქმნილი გართულება, როგორიცაა დისტოცია ან ნაყოფის დისტრესი. კვლევის თანახმად, ამ ქვეკვუფში საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელია 32%, რაც ნიშნავს, რომ ჩატარდა საკეისრო ოპერაციები ყოველგვარი სამედიცინო ჩვენების გარეშე (იხ. ცხრილი 10).

<sup>1</sup> კეფით-წინ მდებარეობა ნორმალურად განიხილება და გვხვდება მშობიარობათა 97%-ში. საკეისროს რეკომენდება შეიძლება ნაყოფის ნებისმიერი მდებარეობისას, გარდა ცეფალურისა. მენტით-წინ მდებარეობა ითვლება არაფიზიოლოგიურად და გვხვდება შემთხვევათა დახლოებით 3%-ში. მხრით, მკლავით ან ზურგით ქვემოთ პოზიცია განიხილება, როგორც ნაყოფის გარდიგარდმო მდებარეობა. ასეთი მდებარეობა გვხვდება 1%.-ში. გარდიგარდმო მდებარეობა უფრო ხშირია ადრეული მშობიარობის ან მრავალნაყოფიანი ორსულობის დროს. ([www.nlm.nih.gov/medlineplus/ency/article/002060.htm](http://www.nlm.nih.gov/medlineplus/ency/article/002060.htm))


ცხრილი 10: მშობიარობის ტიპი კეფით-წინ-მდებარეობა  $> 37$  კვირა სტიმულაციით ან სტიმულაციის გარეშე

	კეფით-წინ მდებარეობა სტიმულაციით ( $> 37$ კვ.)		კეფით-წინ მდებარეობა სტიმულაციის გარეშე ( $> 37$ კვ.)	
	პირველი	განმეორებითი	პირველი	განმეორებითი
ფიზიოლოგური	16 (36%)	2 (14%)	940 (68%)	933 (85%)
საკეისრო	29 (64%)	12 (86%)	442 (32%)	162 (15%)
სულ	45	14	1 382	1 095

კეფით-წინ მდებარეობის ყველა ჭგუფში ( $> 37$  კვირის ორსულობისას) სტიმულაციის პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია (45% - პირველი და 14% - განმეორებითი მშობიარობის დროს), რაც მიუთითებს, რომ მშობიარობის სტიმულირება არ არის გავრცელებული პრაქტიკა საქართველოში.

გარდიგარდმომდებარეობის 33 შემთხვევიდან თითქმის ყველა (ერთის გარდა) დასრულდა საკეისრო კვეთით. მენჯით-წინ მდებარეობის უმრავლესობა - 83% (104 შემთხვევიდან - 86) ასევე საკეისრო კვეთით დასრულდა. ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია, როდესაც მენჯით-წინ მდებარეობა გვხვდება პირველი მშობიარობისას: 94% (62 შემთხვევიდან - 58). განმეორებითი მშობიარობისას მენჯით-წინ მდებარეობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია - 67% (42 შემთხვევიდან - 28). მრავალნაყოფიანი 32 შემთხვევის 66% (21 შემთხვევა) საკეისრო კვეთით დასრულდა. ის ნახაზი 6.

სურათი 6: მშობიარობის ტიპი ნაყოფის მდებარეობის მიხედვით (მრავალნაყოფიანი, მენჯით-წინ მდებარეობა, გარდიგარდმომდებარეობა)



## 4.5 კვლენტთა პროფილი და პოზიცია

### 4.5.1 ორსული ქალები

ზოგადი დახასიათება

კვლევაში ჩართული იყვნენ ქალები 25 – 32 კვირის ორსულობით. შედეგად, ჩატარდა 171 ორსულ ქალთან გასაუბრება. მათი საშუალო ასაკი იყო 24,6 წელი (16-დან 41-მდე ასაკობრივი ჯგუფი). ყველამ თქვა, რომ გათხოვილია, მშობიარობათა საშუალო რაოდენობამ 2,6 შეადგინა.

გამოკითხულთა დაახლოებით ორი მესამედისათვის (63%) ეს პირველი მშობიარობა იყო, 32%-თვის – მეორე ან მესამე. დაახლოებით 6%-ს ადრე ჰქონდა გაკეთებული საკეისრო კვეთა; ერთ ქალს ორი საკეისრო ჰქონდა გადატანილი.


რესპონდენტთა ნახევარზე ოდნავ მეტი იყო იმ რეგიონების მცხოვრები, სადაც სამშობიარო სახლი/სამშობიარო განყოფილება მდებარეობს (54%).

ორსული ქალების ერთ მესამედზე ნაკლები (48 ქალი, 28%) დაზღვეული იყო, ამასთან, მათ უმრავლესობას სრული დაზღვევა ჰქონდა (37 ქალს).

### მშობელთა სკოლებში მონაწილეობა და მათ შესახებ ინფორმაცია

იმ 31 ქალიდან (28%), რომლებიც გათვითცნობიერებულნი იყვნენ მშობელთა სკოლების შესახებ, 22-მა მიაკითხა მათ. თუმცა რესპონდენტ ქალთა უმრავლესობას (72% - 140 ქალი) მშობელთა სკოლებზე არავითარი ინფორმაცია არ ჰქონია. რამდენიმე ქალმა, რომლებსაც გაგონილი ჰქონდათ ამის შესახებ, აღნიშნა, რომ მათ ქალაქებში ასეთი სკოლა არ არსებობდა.

სურათი 7: ინფორმაცია მშობელთა სკოლების შესახებ




ქალები, რომლებიც დადიოდნენ მშობელთა სკოლაში, მას დადებითად აფასებდნენ. მათ განაცხადეს, რომ გაკვეთილები სასარგებლო იყო. უმრავლესობა მშობელთა სკოლებში მშობლებთან ერთან დადიოდა.

### ანტენატალური ინფორმაცია/ ვიზიტი ქალთა საკონსულტაციო ცენტრში


კვლევაში მონაწილე ქალების სამი მეოთხედი (169 რესპონდენტიდან - 129) ქალთა კონსლტაციაში დადიოდა; 24% იქ არ ყოფილა და ამიტომ ამ ცენტრის საშუალებით ინფორმაცია არ მიუღია.

### სურათი 8: ვიზიტები ქალთა კონსულტაციაში



საკონსულტაციო ცენტრით მოსარგებლე ქალთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ეს ვიზიტები ძალიან სასარგებლო იყო და ყველა აუცილებელი ინფორმაცია მიიღო. ქალების 31 %-ის თანახმად, ამ ვიზიტებით ისარგებლეს მაშინ, როდესაც ჰანმრთელობის პრობლემა შეექმნათ - ამ დროს იმკურნალეს და გინეკოლოგებისაგან მნიშვნელოვანი კონსულტაცია მიიღეს. ქალების მცირე პროცენტმა (5%-ზე ნაკლები) უკმაყოფილება გამოთქვა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. საკმაოდ ბევრმა რესპონდენტმა (27%) პასუხისაგან თავი შეიკავა.

### სურათი 9: ქალთა კონსულტაციაში ვიზიტების სარგებლიანობა




### მშობიარობისათვის მზადყოფნა

ორსულთა 60%-მა (162-დან 100-მა) მშობიარობისათვის მზადყოფნის შესახებ დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ და ოჯახისა და პარტნიორისაგან მხარდაჭერას გრძენობდნენ.

თითქმის ყოველმა მეშვიდე ქალმა (14%) განაცხადა, რომ მშობიარობის შესახებ მცირე ინფორმაცია ჰქონდა და საკეისრო კვეთა ნაკლებ მტკიცნეულად მიაჩნდა, ვიდრე ფიზიოლოგიური მშობიარობა. რესპონდენტთა თითქმის იგივე რაოდენობამ (13%, 21 ქალი) განაცხადა, რომ ჰერ არ იყო მზად მშობიარობისათვის და ეშინოდა მასთან დაკავშირებული ტკიფილების. 10%-ს იმდენად ცუდი გამოცდილება ჰქონდა წინა მშობიარობიდან, რომ უპირატესობას საკეისრო კვეთას ანიჭებდა.

## სურათი 10: მშობიარობისათვის მზადყოფნა




### ინფორმაციის საჭიროება

ორსულ ქალთა უმრავლესობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორსულობისა და მშობიარობის შესახებ ინფორმაციის მიღებას. ასეთი ინფორმაციის მთავარ წყაროს მათი ექიმები (26.6%) და ოჯახის წევრები (15.3%) წარმოადგენენ. ქალების დაახლოებით ორი მესამედის (128-დან - 82) განცხადებით, საჭირო ინფორმაცია ექიმებისაგან მიიღეს. 16%-ის აზრით, ძალიან საინტერესო იყო სუნთქვით ვარჯიშებთან და დიეტასთან დაკავშირებული ინფორმაცია. 20%-მა (ყოველმა მეხუთემ) აღნიშნა, რომ არავითარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ მიუღია. 43-მა რესპონდენტმა პასუხს თავი აარიდა.

### მომსახურების გაუმჯობესება

კვლევის მონაწილეებს სთხოვეს შემოეთავაზებინათ ორსულ ქალთა მომსახურების/მოვლის გაუმჯობესების გზები. მშობელთა სკოლაშ მაღალი შეფასება მიიღო. ქალებმა სურვილი გამოთქვეს დასწრებოდნენ გაკვეთილებს და ესაუბრათ ორსულობისა და მშობიარობის შესახებ. ყოველმა მეოთხემ (156-დან - 37) განაცხადა, რომ აუცილებელია ქალთა კონსულტაციების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. გარკვეული ნაწილის აზრით (19%), ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხი, განსაკუთრებით რეგიონების წარმომადგენელთათვის. მათი განცხადებით, მშობიარობა უფასო უნდა იყოს ან საფასური სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ. 5%-მა პრობლემას უქმნიდა ექიმის მოსაცდელში არსებული რიგები და ამ საკითხის მოწესრიგების სურვილი გამოთქვა.


სურათი 11: რჩევები ორსულ ქალთა მოვლა/მომსახულების გასაუმჯობესებლად



#### მშობიარობის სასურველი ტიპი

გამოკითხული ქალების 81%-მა (138) უპირატესობა მიანიჭა ფიზიოლოგიურ მშობიარობას. დანარჩენმა 19%-მა (32) საკეისრო კვეთა აირჩია მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ჩვენება მათგან მხოლოდ 7-ს ჰქონდა. 17 ქალი საკეისრო კვეთის გაკეთებას აპირებდა საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე (10%), ხოლო 8 – გინეკოლოგის რჩევით.

სურათი 12: მშობიარობის სასურველი ტიპები



#### 4.5.2 ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალები

##### საერთო დახასიათება

გამოიკითხა 175 ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალი. მათი საშუალო ასაკი იყო 25,3 წელი (15-დან 41 წლამდე). თითქმის ყველა მონაწილე (96%) გათხოვილი იყო. 43%-სათვის (76 ქალი) ეს პირველი მშობიარობა იყო, 37%-სთვის – მეორე, ხოლო 23 ქალისათვის (13%) – მესამე მშობიარობა. შვიდ შემთხვევაში მეოთხე მშობიარობა დაფიქსირდა, ორმა კი მეხუთედ იმშობიარობა.


ქალების ნახევარზე ოდნავ მეტი იმ რეგიონიდან იყო, სადაც სამშობიარო სახლი ან სამშობიარო განყოფილება მდებარეობს; 14% – სხვა რეგიონიდან, ხოლო ერთი მესამედი (29%) – მომიჯნავე რეგიონიდან.

იმ ქალების უმრავლესობა, რომლებმაც ფიზიოლოგიურად იმშობიარეს (65%), არ იყო დაზღვეული. მათ თავად გადაიხადეს მშობიარობის საფასური. მესამედზე ოდნავ მეტს (35%) სამედიცინო დაზღვევა ჰქონდა; ამ უმცირესობის 76%-ის ხარჯები მთლიანად სადაზღვევო კომპანიამ გადაიხადა.


##### ანტენატალური ინფორმაცია/ვიზიტი ქალთა კონსულტაციაში

ქალების უმრავლესობა ორსულობის განმავლობაში ქალთა კონსულტაციაში დადიოდა. მათი ვიზიტების საშუალო რაოდენობა იყო 6, ხოლო უმრავლესობა (66%) 5-10-ჯერ იყო ნამყოფი. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ასახავს ქალთა კონსულტაციების მდებარეობას და ვიზიტების რაოდენობას (სურათი 13, 14).

სურათი 13: ქალთა კონსულტაციების მდებარეობა




სურათი 14: ქალთა კონსულტაციებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



კითხვაზე “სანამ სამშობიარო სახლში მოხვიდოდით, რა იცოდით მშობიარობასთან დაკავშირებულ პროცედურებზე?”, 77-მა ქალმა (45%) უპასუხა, რომ სრული ინფორმაცია ჰქონდა მშობიარობის გზებზე; 48 ქალს (28%) მწირი ინფორმაცია ჰქონდა, ხოლო 15-ს არავითარი ინფორმაცია არ ჰქონია მიღებული. იხ. ნახაზი 15.

## სურათი 15: ინფორმირებულობა მშობიარობის თაობაზე



სამმა ქალმა განაცხადა, რომ არ ენდობა ქალთა კონსულტაციის გინეკოლოგს და სხვა ექიმისაგან მიიღო კერძო კონსულტაცია. ერთმა თქვა, რომ იგი საკონსულტაციო ცენტრში მივიდა მხოლოდ ორსულის ბარათის მისაღებად. 12%-მა განაცხადა, რომ ექიმმა კონსულტაცია გაუწია შუძუთი კვებასა და ორსულთა ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაახლოებით 70%-ის აზრით, მშობიარობის დროს ძალიან დაეხმარა გინეკოლოგისაგან მიღებული ნფორმაცია. 30 ქალი (17%) რეგულარულად დადიოდა მშობელთა სკოლაში. გაკვეთილების დროს უყურებდნენ ფილმებს მშობიარობაზე და დაურიგეს საინფორმაციო ბუკლეტები შუძუთი კვების და ახალშობილის მოვლის შესახებ.

კითხვაზე, ხომ არ ეშინოდა შესაძლო (საჭიროების შემთხვევაში) საკეისრო კვეთის, 58%-მა (100 ქალი) უარყოფითი პასუხი გასცა; 32%-მა თქვა, რომ ეშინოდა; ხოლო 10%-ს ოდნავი შიში ქჰონდა.

### კლიენტის კმაყოფილება

ფიზიოლოგიურად ნამშობიარებ ქალთა უმრავლესობა (97%) კმაყოფილი დარჩა საავადმყოფოს მომსახურებით; 167-დან 5 ქალი (3%) მომსახურებით კმაყოფილი არ იყო. ასეთივეა პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა, რომლებიც მომსახურებასთან ერთად, დადებითად ახასიათებდნენ ბებიაქალს და აღნიშნავდნენ, რომ მისი როლი და დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო; 5 ქალი არ იყო კმაყოფილი მიღებული დახმარებით.

საშუალოდ, სამშობიარო სახლებს/განყოფილებებს ყველა ასპექტში (მშობიარობამდე, მშობიარობის დროს და მშობიარობის შემდეგ) დადებითი შეფასება მიეცა. ქალთა უმრავლესობამ ამ დაწესებულებებს 10-ქულიანი სისტემიდან 7 და მეტი ქულა მიანიჭა. მხოლოდ რესპონდენტთა მცირე რაოდენობამ შეაფასა 5 ქულით.

#### 4.5.3 საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალები

##### საერთო დახასიათება

(კვლევაში მონაწილეობდა სულ 119 ქალი, რომლებსაც საკეისრო კვეთა ჩატარდათ<sup>1</sup>). ქალების საშუალო ასაკმა შეადგინა 26,2 წელი (17-დან 40-მდე). ყველა მონაწილე, გარდა ერთისა, გათხოვილი იყო. 58%-სათვის (66 ქალი) ეს პირველი მშობიარობა იყო; 29%-სათვის – მეორე, ხოლო 9 ქალისათვის – მესამე მშობიარობა. ორ შემთხვევაში მეოთხე მშობიარობა დაფიქსირდა, ერთმა კი მეხუთედ იმშობიარა.

ქალების უმრავლესობა ქართველი იყო (87%); 2 – რუსი; 6 - აზერბაიჯანიდან, ხოლო 3 - სომხეთიდან.

ქალების დაახლოებით ნახევარი იგივე რეგიონიდან იყო, სადაც სამშობიარო სახლი მდებარეობს (51%); 35 სხვა რეგიონიდან (29%), ხოლო 24 (20%) - რეგიონის ქალაქიდან. ეს ნიშნავს, რომ ბევრი ქალი არ მშობიარობს უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.

შაკეისრო კვეთით ნამშობიარებ რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლებს სამედიცინო დაზღვევა ჰქონდა (43%), ხოლო 68-ს დაზღვევა არ ჰქონია. სადაზღვევო კომპანიამ მხოლოდ 15%-ის, ანუ 18 ქალის ხარჯები დაფარა სრულად.

##### ქალების შედარებითი პროფილი


ცხრილში 11 და სურათზე 16 ნაჩვენებია სამი ქვეჯგუფის შედარება

ცხრილი 11: ორსული და პოსტნატალური პერიოდის ქალთა ასაკი			
ასაკობრივი ქვეჯგუფი	საკეისრო	ფიზიოლოგიური	ორსული ქალები
<b>≤20</b>	35 (20%)	20 (16.8%)	46 (26.9%)
<b>21-35</b>	129 (73.7%)	91 (76.5%)	117 (68.3%)
<b>≥ 36</b>	11 (6.3%)	8 (6.7%)	8 (4.7%)
<b>სულ</b>	<b>175</b>	<b>119</b>	<b>171</b>

ქალების უმრავლესობა არ იყო დაზღვეული, ეს რიცხვი ყველაზე მაღალია ორსულთა შორის (72%). დაზღვეული არ იყო იმ ქალების ნახევარზე მეტი (57%), რომლებმაც საკეისრო კვეთა გაიკეთეს.

<sup>1</sup> 18 დაწესებულებიდან: ერთი ახალი გახსნილი იყო და ამ დრომდე ძალიან ცოტა საკეისრო კვეთა იყო ჩატარებული.

## სურათი 16: სადაზღვევო სტატუსი ორსულ და ნამშობიარებ ქალებში



ქალების დაახლოებით 50% სამშობიარო სახლთან ახლოს ცხოვრობს, მეორე ნახევარი კი იძულებულია იმავე რეგიონის სოფლებიდან ან სხვა რეგიონიდან იმგზავროს; ეს ციფრი თითქმის ერთნაირია ყველა ჭავჭავისათვის.

### ანტენატალური ინფორმაცია/ვიზიტი ქალთა კონსულტაციაში

ქალების უმრავლესობა (97%) ორსულობის განმავლობაში აკითხავდა ქალთა კონსულტაციებს. მათი ანტენატალური ვიზიტების საშუალო რაოდენობაა 5-6. ამ ჭავჭავიდან 71 ქალი (60%) დადიოდა სამშობიარო სახლის ქალთა კონსულტაციაში. 28 ქალი (23%) დადიოდა რეგიონის ქალთა კონსულტაციაში, მაგრამ არა სამშობიარო სახლის საკონსულტაციო ცენტრში; 17 ქალი (14%) დადიოდა სხვა ქალაქიდან.


72 ქალს (60%) მიაჩნია, რომ ვიზიტები ძალიან სასარგებლო იყო, რადგან ექიმები კონსულტაციებს უწევდნენ ორსულობისა და ნაყოფის განვითარების შესახებ. 14-მა ქალმა (12%) განაცხადა, რომ ჰქონდათ ჭანმრთელობის პრობლემა, როგორიცაა მაღალი წნევა, ტკივილი მუცლის არეში, სპონტანური აბორტის რისკი და ა.შ. ამის გამო ზოგიერთმა მათგანმა (3) ცენტრს 10-ჯერ და მეტჯრ მიაკითხა.

ამრიგად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინფორმირებულობის დონე ანტენატალურ პერიოდში არადამაკმაყოფილებელია. უნდა ითქვას, რომ საკეისრო კვეთით ნამშობიარებ ქალთა არაინფორმირებულობის დონე შედარებით მაღალია. იმ ქალების 40% (117-დან 47), ვინც საკეისრო კვეთით იმშობიარა, კმაყოფილი იყო მიღებული ინფორმაციით. თუმცა, 30%-მა აღნიშნა, რომ ინფორმაცია აკლდათ და არ იცოდნენ, რა სახის რისკებთან იყო დაკავშირებული საკეისრო კვეთა. მეორე 30%-ს მშობიარობის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მიუღია ან მხოლოდ უმნიშველო ინფორმაცია მიიღო. ამ 36 არასაკმარისად ინფორმირებულთაგან 24-სათვის (67%) ეს დაგეგმილი საკეისრო კვეთა იყო, ხოლო დანარჩენი 12-სათვის - გადაუდებელი/სასწრაფო საკეისრო ოპერაცია.

### ანესთეზია

ქალთა უმრავლესობამ (97%) აღნიშნა გამოყენებული ანესთეზიის სახეობა: შემთხვევების 70%-ში ეს იყო ენდოტრაქეული ანესთეზია და მხოლოდ 30%-ში - სპინალური ანესთეზია. ენდოტრაქეული ანესთეზიის აშვარა სიჭარბესთან ერთად, არსებობს აგრეთვე დიდი სხვაობა თბილისში და რეგიონებში გავრცელებულ პრაქტიკას შორის (იხ. ნახატი 17).

სურათი 17: ანესთეზიის გამოყენების რეგიონალური ვარიაციები



### საკეისრო კვეთის ჩვენება. მასთან დაკავშირებული გამოცდილება

ერთ-ერთი შეკითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად იცოდნენ ქალებმა საკეისრო კვეთის მიზებები და, ამასთან ერთად, საკეისრო ოპერაციასთან დაკავშირებული გამოცდილების შეფასება.

საკეისრო კვეთით ნამშობიარები 119 ქალიდან 37-მა (31%) ვერ შეძლო ოპერაციის მიზების დასახელება. 11 ქალისათვის ეს განმეორებითი ოპერაცია იყო; 16 შემთხვევაში სხვადასხვა მიზები დასახელდა: ნაყოფის მენტი-წინ მდებარეობა, მრავალნაყოფიანი ორსულობა, გარდიგარდმო მდებარეობა ან მიოპათია. 12 შემთხვევაში ქალებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილება მიიღეს ჭინთვების და ტკივილების შიშის გამო. 35 ქალს სტერილიზაცია ჰქონდა დაგეგმილი, ამიტომ გადაწყვიტეს საკეისროს ჩატარება.

საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების დაახლოებით მესამედის (119-დან 37) შემთხვევაში, ამ ოპერაციის გაკეთება გადაწყდა სამშობიარო ჭინთვების დაწყების შემდეგ. ამ ჰაუფის 21-მა წევრმა მიზებად დაასახელა ვადაგადაცილებული ორსულობა ან სანაყოფე გარსის ნაადრევი გასვდომა.

მომდევნო კითხვაზე, იყვნენ თუ არა კმაყოფილი ამ გადაწყვეტილებით, 46-მა ქალმა უპასუხა, რომ ჭანმრთელობის პრობლემა რომ არ ჰქონიდათ, უპირატესობას ფიზიოლოგიურ მშობიარობას მიანიჭებდნენ. 13 ქალი პირველ ეტაპზე კმაყოფილი იყო, მშობიარობის შემდეგ კი აზრი შეიცვალა. 13 ქალი თავიდანვე არ იყო კმაყოფილი, რადგან ფიზიოლოგიური მშობიარობა ერჩივნა. 27-მა განაცხადა, რომ ძალიან მოხარულია საკეისრო კვეთა რომ ჩაიტარა, რადგან ყველაფერი კარგად და სწრაფად დასრულდა.


25 დედის აზრით, საკეისრო კვეთის ჩატარება ცუდი გადაწყვეტილება იყო, რადგან მათ ოპერაციის შემდეგპრობლემებიგაუჩნდათდასრულიინფორმაციარომშეონთათ, ფიზიოლოგიურმშობიარობას აირჩივდნენ. ორ ქალს არავითარი ინფორმაცია არ ჰქონია საკეისრო კვეთისა და ფიზიოლოგიური მშობიარობის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ამიტომ ბუნებრივად მშობიარობის შეეშინდა და საკეისრო კვეთის გაკეთება გადაწყვიტა.

### გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების მიღების დრო

38 რესპონდენტის შემთხვევაში საკეისრო კვეთის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ექიმს ეკუთვნოდა, 22 შემთხვევაში - ქალს და მის მეან/გინეკოლოგს.

შემთხვევათა 69%-ში გადაწყვეტილება საკეისრო კვეთის შესახებ ორსულობის განმავლობაში იყო მიღებული; დანარჩენ 31%-ში - მშობიარობის პროცესის დაწყების შემდეგ. ორსულობის პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებათა მესამედი პირველ და მეორე ტრიმესტრზე მოდის, დანარჩენი კი - მესამე ტრიმესტრზე.

სურათი 18: საკეისრო კვეთის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დონო:




#### ინფორმაციის წყარო და კლიენტის კმაყოფილება

ქვემოთ წარმოდგენილი სურათიდან აშკარად ჩანს, რომ აუცილებლია გაუმჯობესდეს იმ ქალებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რომლებმაც საკეისრო კვეთა აირჩიეს. ცუდად მომზადებულ ქალთა დიდი წილი რეგიონებზე მოდის. ანალოგიურია შესაძლო გართულებებზე ინფორმირებულობის ტერიტორიული მონაცემები.

სურათი 19: საკეისრო კვეთით ნამშობიარებ ქალთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი

■ საკმარისად ინფ. ■ ნაწილობრივად ინფ. ■ არა ინფორმ.




ქალების უმრავლესობა (58%, 119-დან - 69) ინფორმაციას ძირითადად ექიმისაგან იღებდა. მეორე ადგილზეა მეგობრები - 25 ქალის მონაცემებით (21%), ხოლო დანარჩენებმა სხვა წყაროები დაასახელეს: ინტერნეტი (6); ტელევიზია/რადიო (4); ბროშურები (3) და სხვა წყაროები (9). მხოლოდ ერთმა ქალმა დაასახელა ინფორმაციის წყაროდ ბებიაქალი.

ქალების 76% კმაყოფილი იყო იმ ინფორმაციით, რომელიც ექიმისგან მიიღეს, 26% კი - არა.

#### გადაწყვეტილება მომავალი მშობიარობის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ნახევარზე ოდნავ მეტი - 59% (96 რესპონდენტიდან - 57; 23-მა არ უპასუხა) შემდეგი ორსულობის შემთხვევაში უპირატესობას ფიზიოლოგიურ მშობიარობას ანიჭებს, აშკარა სხვაობა შეიმჩნევა, თუ შევადარებთ თბილისა და რეგიონებში ნამშობიარებ ქალებს.

## სურათი 20: მომავალი მშობიანობის სასურველი ტიპი



### კლიენტის კმაყოფილება

კითხვაზე, კმაყოფილნი იყვნენ თუ არა ბებიაქალის დახმარებით, 56%-მა განაცხადა რომ მასთან კონტაქტი საერთოდ არ ჰქონიათ. დანარჩენების აზრით, ბებიაქალის დახმარება სათანადო იყო.

ქალების უმრავლესობა მომსახურებით ძალიან კმაყოფილი დარჩა და 10 ქულით შეაფასა. კითხვაზე, რამესახის რჩევა ხომ არ ექნებოდათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მათ უარყოფითად უპასუხეს. მეორეს მხრივ, 51-მა ქალმა დაამატა (ინტერვიუს დასასრულს), რომ ისურვებდნენ ფიზიოლოგიურად ემშობიარათ.

## 4.6 პროვაიდერის პროფილი და პოზიცია

ამ ნაწილში წარმოდგენილია ბებიაქალებთან და მეან/გინეკოლოგებთან ჩატარებული ნაკლებად სტრუქტურული ინტერვიუების დასკვნები. სულ კვლევაში მონაწილეობდა 18 სამედიცინო დაწესებულების დაახლოებით 200 ჭანდაცვის პროფესიონალი: 83 ბებიაქალი და 109 მეან/გინეკოლოგი.

### 4.6.1 ბებიაქალები

საერთო დახასიათება\_

რესპონდენტთა საშუალო ასაკი იყო 45 წელი, ყველაზე ახალგაზრდა - 23 წლის და ყველაზე უფროსი - 68 წლის (რომელსაც 35 წლიანი გამოცდილება ჰქონდა და 42 წელი მუშაობდა ერთსა და იმავე დაწესებულებაში). ბებიაქალებს ამ პროფილით მუშაობის, საშუალოდ, 19 წლიანი გამოცდილება ჰქონდათ.

ბებიაქალების უმრავლესობა (74%) ტრენინგებში იღებდა მონაწილეობას, უპირატესად - კონტრაცეფციისა და რეპროდუქციის თემაზე. 20 ბებიაქალს ჭონ სწორი ინსტიტუტის ტრენინგები ჰქონდა გავლილი "ეფექტური პერინატალური მოვლის" თემაზე.

**ცხრილი 12: ბებიაქალების ტრენინგი სამედიცინო დაწესებულებების ტიპის მიხედვით**

	შპს	კერძო	სს	სულ
ან გაუვლია	9	12	1	22 (26%)
გაიარა - კონტრაცეფციისა და კონკრეტური თემაზე	11	23	4	38 (46%)
გაიარა - ნეონატალური მოვლის თემაზე	3	2	2	7 (8%)
გაიარა - მაგრამ ვერ აკონკრეტებს	2			2 (5%)
გაიარა - ჭონ სწორი ინსტიტუტი ტრენინგი	3	8	9	20 (24%)
სულ				83

### ბებიაქალის როლი პერინატალური მოვლის პროცესში

ბებიაქალებს სთხოვეს ეპასუხათ შეკითხვებზე მათი ფაქტობრივი და სასურველი როლის შესახებ პერინატალური პერიოდის სხვადასხვა სტადიებზე. ყველა რესპონდენტმა ვერ ისაუბრა ფაქტობრივ როლზე, მაგრამ კითხვაზე, ხედავენ თუ არა საკუთარ როლს პერინატალური პერიოდის სხვადასხვა სტადიებზე, საინტერესოდ ილაპარაკეს საკუთარ მისწრაფებზე (ცხრილი 13).

### ცხრილი 13: ბებიაქალების ფაქტომრივი და სასურველი როლი პერინატალურ მოვლაში

<b>ანტენატალური (n=75)</b>	მხოლოდ 17-მა რესპონდენტმა თქვა, რომ ჩართულია ანტენატალურ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა არ არის ჩართული (88%), ბევრი (რესპონდენტთა 66%) ხედავს საკუთარ როლს ანტენატალურ მოვლაში.
<b>ფიზიოლოგიური მშობიარობა (n=82)</b>	შეძლებდა თუ არა ბებიაქალი უფრო მეტის გაკეთებას ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს, არ არის მკაფიოდ გარკვეული: 51 ხედავს გაზრდილ როლს, 31 კი - ვერა.
<b>საკეისრო კვეთა (n=82)</b>	63 ბებიაქალის აზრით, საკეისრო კვეთის დროს მათი ფაქტობრივი როლია ახალშობილის მიღება. 14-ის თქმით, ისინი ამზადებდნენ ორსულ ქალს ოპერაციამდე. კითხვაზე, ხედავენ თუ არა საკუთარ როლს საკეისრო კვეთის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 62% ყოყმანობდა და ამ პროცესში თავისი როლის დანახვა უჭირდა.
	64 ვერ ხედავდა უფრო გაზრდილ როლს ან საერთოდ რაიმე როლს საკეისრო კვეთის დროს.
<b>მშობიარობის შემდგომი (2 სთ) (n=80)</b>	მშობიარობის შემდგომ პერიოდში გაზრდილი როლი დაინახა 20-მა ბებიაქალმა, უმრავლოსობა კი ამ ეტაპზე ვერავითარ როლს ვერ ხედავდა.
<b>პოსტნატალური პერიოდი (n=81)</b>	ჰგუფი დაიყო მათი როლების მიხედვით პოსტნატალურ პერიოდში: 41-ს არ სურდა როლის გაზრდა, ხოლო დანარჩენ 40-ს სურდა გაზრდილი როლი ჰქონოდა პერინატალურ მოვლაში.

**ამრიგად:** პერინატალური მოვლის ერთზე მეტ სტადიაში მხოლოდ რამდენიმე ბებიაქალია ჩართული. ბევრი უმშაობს მეან/გინეკოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, თუმცა არც თუ მცირე რაოდენობა (38) აღნიშნავს, რომ მომზადება გაიარეს და საკმარისად დარწმუნებული არიან საკუთარ ძალებში იმისათვის, რომ ექიმების მეთვალყურეობის გარეშე, დამოკიდებლად იმუშაონ. 7-მა განაცხადა, რომ სჭირდება ტრენინგი ახალ გაიდლაინებსა და პროტოკოლებში.


### პოზიციები საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით

ბებიაქალების დიდი უმრავლესობა (80%, 82-დან 66) ხედავს მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში საკეისრო კვეთების რაოდენობის მზარდ ტენდენციას; 9%-მა განაცხადა, რომ საკეისრო კვეთების რაოდენობა ბოლო პერიოდში შემცირდა; ხოლო 12%-ის აზრით, იგივე დარჩა. ბებიაქალების უმრავლესობამ (77%, 81-დან - 62) განაცხადა, რომ ჩვეულებრივ, იცის ხოლმე რატომ კეთდება საკეისრო კვეთა.

42 ბებიაქალის აზრით, საკეისრო კვეთის გახშირების მთავარი მიზეზი ფიზიოლოგიური მშობიარობის თანმდევი ტკივილების შიშია. 21 რესპონდენტმა თქვა, რომ მიუხედავად მეან/გინეკოლოგთა ძალისხმევისა და არნენებინათ ქალები ნორმალური მშობიარობის უპირატესობაში, ქალები მაინც საკეისრო კვეთას არჩევდნენ. რესპონდენტების თითქმის ნახევარი ფიქრობდა, რომ მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში მრავალი საკეისრო კვეთის თავიდან აცილება იყო შესაძლებელი, თუმცა მხოლოდ 21-მა მიუთითა, თუ რა გზით შეიძლებოდა ამის მიღწევა. ზოგიერთი ბებიაქალის აზრით, საკეისრო კვეთის თავიდან აცილება შეიძლება ტკივილის მართვის უკეთესი მეთოდის გამოყენებით; სხვები საჭიროდ მიიჩნევენ ორსული ქალების ცნობიერების დონის ამაღლებას. მათი მოსაზრებით, კლიინტის მიერ საკეისრო კვეთის მოთხოვნა ძირითადად ორსულობისა და მშობიარობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო ხდება. ბებიაქალების თითქმის მესამედმა (30%) განაცხადა, რომ საკეისრო კვეთის მოთხოვნა ხშირად ქმრის/პარტნიორის ზეგავლენის შედეგია.

სურათი 21 გვიჩვენებს საკეისრო კვეთების გახშირების შესაძლო მიზეზებს, რომლებიც ბებიაქალებმა დაასახელეს.

სურათი 21: საკეისრო კვეთათა რაოდენობის ზრდის შესაძლო მიზეზები ბებიაქალების აზრით




ბებიაქალების ნახევარმა აღნიშნა, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა მშობიარობისა და/ან საკეისრო კვეთის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან გადაწყვეტილებას ყოველთვის ექიმი იღებს. მხოლოდ 14-მა ბებიაქალმა განაცხადა, რომ მეან/გინეკოლოგი ინტერსდება მათი აზრით საკეისროს მიზანშეწონილობის შესახებ. უმრავლესობის თანახმად (83%), მათ იშვიათად ან არასდროს ეკითხებიან აზრს.

### ცვლილებები/გაუმჯობესება

ბებიაქალების აზრით, აუცილებლია მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში, აგრეთვე მთლიანად ქვეყანაში ცვლილებები განხორციელდეს. ქვემოთ ზოგადი სახით წარმოდგენილია შემოთავაზებული ცვლილებები და რეკომენდაციები (სულ 174):

სურათი 22: ბებიაქალების რეკომენდაციები



#### 4.6.2. მეან/გინეკოლოგები

##### საერთო დახასიათება

კვლევაში მონაწილე მეან/გინეკოლოგების საშუალო ასაკი 49 წელია; 62 რესპონდენტი 50 წლამდეა, დანარჩენი 47 კი - 50-ის და მეტის. 13 მეან/გინეკოლოგს 10 წელზე ნაკლები პროფესიული სტაჟი აქვს; უმრავლესობას (91) აქვს 10-წლიანი და უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. პროფესიული გამოცდილების საშუალო ხანგრძლივობაა 22 წელი.

მეან/გინეკოლოგების უმრავლესობა მხოლოდ ერთ სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს; 38 მათგანს არასოდეს შეუცვლება სამუშაო ადგილი. მათი გამოცდილება 6-დან 50 წლამდეა. ყველაზე უფროსი მონაწილე (75 წლის) 50 წელია ერთ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში მუშაობს.

მეან/გინეკოლოგების უმრავლესობას ტრენინგები აქვს გავლილი, უმეტესწილად - კონტრაცეფციასა და ოჭახის დაგეგმვაში.

##### პოზიციები ბებიაქალის როლთან დაკავშირებით

კითხვაზე - ჩაუტარებიათ თუ არა მეან/გინეკოლოგებს არაფორმალური ტრენინგები (სამუშაო ადგილზე სწავლება) ბებიაქალებისათვის, ბევრმა დადებითად უპასუხა. ბევრმა განაცხადა, რომ ბებიაქალებს სამუშაო ადგილზე აძლევდა რჩევებს, კერძოდ - მშობიარობის მართვის საკითხებში.

13-მა მეან/გინეკოლოგმა განაცხადა, რომ მათ სამშობიარო სახლებში არ არის დანერგილი პარტნერამა. 43 გინეკოლოგი არ ანდობს ბებიაქალებს პარტნერამის შევსებას, არასაკმარისი უნარ-ჩვევების გამო. ექიმების დაახლოებით ნახევარი ენდობა ბებიაქალებს მესამე ეტაპის აქტიური მართვის დამოუკიდებლად განხორციელებაში; 56-ს მიაჩნია, რომ ბებიაქალს, ნეონატოლოგთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეუძლია "თბილი ჭაჭვის" გარკვეულწილად შესრულება.

მეან/გინეკოლოგების უმრავლესობამ აღიარა, რომ ბებიაქალებს არავითარი როლი არ აკისრიათ საკეისრო კვეთის პროცესში, 46-მა კი განაცხადა, რომ ვერ ხედავენ მათ როლს ამ სამუშაოში. ხოლო ვინც ხედავს (64), მათთვის ეს არის მაგალითად, კლიენტების ოპერაციისათვის მომზადება ან ქირურგიული ჩარევის შემდეგ ახალშობილის მიღება. 77 რესპონდენტი ფიქრობს, რომ საკეისრო კვეთის პროცესში ბებიაქალების მონაწილეობის გაზრდა შეუძლებელია.


პერინატალური მოვლის სხვა ასპექტებში ბებიაქალების როლის შესახებ დასმულ შეკითხვაზე ჰგუთი გაიყო: მეანების/გინეკოლოგების ნახევარი ვერ ხედავს ბებიაქალების როლს ანტენატალურ პერიოდში, ხოლო მეორენახევარი მომზრეა ბებიაქალების მონაწილეობისა, მაგალითად, მშობელთა სკოლებში. 16 გინეკოლოგის თანახმად, მნიშვნელოვანია ბებიაქალების დამოუკიდებლობის გაზრდა მეან/გინეკოლოგების ხელმძღვანელობისა და მონიტორინგის პირობებში; პოსტნატალურ პერიოდში ბებიაქალების როლს 20 რესპონდენტი ხედავს.

##### პოზიციები საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით

შეფასდა მეან/გინეკოლოგების მიერ საკეისრო კვეთათა რაოდენობრივი მაჩვენებლის ცოდნა. მათ სთხოვეს დაესახელებინათ მსოფლიოში რეკომენდებული მაჩვენებელი (რომელიც შეადგენს 5-15%-ს) და მათ სამშობიარო სახლებში/განყოფილებებში არსებული მაჩვენებელი.


თითქმის ყველა მეან/გინეკოლოგის (108) აზრით, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქართველოში საკეისრო კვეთების რაოდენობა გაიზარდა. 63% თვლის, რომ ამის მიზეზი ძირითადად კლიენტების მოთხოვნის ზრდაა. მხოლოდ ერთ რესპონდენტს არ სჭრა, რომ საკეისრო ოპერაციები გახშირდა.

სურათი 23: საკეისრო კვეთათა რაოდენობის ზრდის შესაძლო მიზეზები მეან/გინეკოლოგების აზრით



კითხვას, რომელსაც უნდა გაერკვია საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციების ცოდნა, საკმაოდ დიდმა ნაწილმა სწორად ვერ უპასუხა. ერთ მესამედზე მეტმა (37%) აღნიშნა, რომ იცის რეკომენდებული ზღვარი, მაგრამ ვერ დააკონკრეტება. მეან/გინეკოლოგების 27% არ იცნობს საერთაშორისო რეკომენდაციებს. 22%-მა სწორი პასუხი გასცა (დაასახელებს 8% - 15% ზღვარი). იხ. ნახატი 24.

სურათი 24: საერთაშორისო რეკომენდაციების ცოდნის დონე



შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია პასუხები ჯანმო-ს (WHO) რეკომენდაციების ცოდნის კუთხით, დაწესებულების ტიპის მიხედვით

ცხრილი 14: მეან/გინეკოლოგების ცოდნა საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციების შესახებ

	შპს	კერძო	სს	სულ
იყის, ვერ აკონკრეტებს	10	28	2	40 (37%)
არ იცის	6	17	6	29 (27%)
15% ან ნაკლები	4	15	5	24 (22%)
16 – 19%	4	-	1	5
მცდარი პასუხი	-	4	-	4
-	-	-	7	7
სულ	21	64	21	109

109-დან 19-მა მეან/გინეკოლოგმა (17%) არ იცოდა მათ სამშობიარო სახლებში/განყოფილებებში საკეისრო კვეთების მაჩვენებელი. 16-ს მიაჩნდა, რომ ეს მაჩვენებელი 15%-ზე ნაკლებია (ერთის აზრით=5%). ნახევარზე მეტმა დაასახელა 20% და მეტი, 19-მა (17%) – 40%-ზე მეტი; ზოგიერთის შეფასებით კი ეს მაჩვენებელი 75%-ს უდრის.

შემდეგ კითხვაზე - პრობლემად მიაჩნიათ თუ არა მათ სამშობიარო სახლებში/ განყოფილებებში საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებელი, მეან/გინეკოლოგების ნაწილმა უარყოფითად უპასუხა. (15 პროვაიდერი, რომლებმაც ადრე აღნიშნეს საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 25% და მეტი). ზოგიერთმა მეან/გინეკოლოგმა კი განაცხადა, რომ მაღალი მაჩვენებელი პრობლემა მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარ დაწესებულებაში ეს მაჩვენებელი საერთაშორისო რეკომენდაციებს აკმაყოფილებს. საბოლოო ჭამში, საკეისრო კვეთების მაჩვენებელი პრობლემად მიაჩნია 60%-ს.

### გაუმჯობესება/ცვლილებები

რესპონდენტების დაუსვეს შეკითხვა: სათანადო თანამდებობაზე რომ ყოფილიყვნენ, შეცვლიდნენ თუ არა რაიმეს სამშობიარო სახლებში/განყოფილებებში პერინატურ/დედათა ჰანმრთელობის კუთხით. 28% არაფერს შეცვლიდა, 10% - ყოყმანობდა, 62%-მა კი განაცხადა, რომ ცვლილებებს განახორციელებდა. ამათგან ნახევარს (31 რესპონდენტი) მიაჩნია, რომ კარგი იქნებოდა მათ დაწესებულებაში მშობელთა სკოლის დაარსება. დანარჩენი მოსაზრებები ეხებოდა კლიენტთათვის ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებას.

საკეისრო კვეთის რეკომენდაციების შესახებ დასმულ შეკითხვაზე რამდენიმემ უპასუხა, რომ საჭიროა საკეისრო კვეთის მაჩვენებლის სახელმწიფო მონიტორინგი, რათა ეს ოპერაცია მხოლოდ სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში ჩატარდეს (25 რესპონდენტი). 15 რესპონდენტის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. 14-მა რესპონდენტმა აღნიშნა სამედიცინო ჩვენების დაზუსტების აუცილებლობა (მაგ.: გაკეთდეს თუ არა საკეისრო კვეთა ნაყოფის მენჭით-წინ მდებარეობის დროს). რამდენიმე (5) რესპონდენტის აზრით, აუცილებელია საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული რეკომენდაციების დაცვა.

## 5 შედეგების განხილვა

საქართველოში საკეისრო კვეთის შემთხვევების რიცხვმა მნიშვნელოვნად მოიმატა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მათი წილი სამჯერ და მეტად გაიზარდა - 2000 წელს იგი შეადგნდა 9.3%-ს, ხოლო 2010 წელს - 31.5%-ს. თუმცა საბოგადოების, (მომავალი) კლიენტებისა და ჰანდაცვის სპეციალისტების მხრიდან ამ პრობლემით დაინტერესება არასათანადო.

კვლევის მიზანი იყო იმ ფაქტორების დადგენა, რომლებმაც ქვეყანაში საკეისრო კვეთის გახშირება გამოიწვია, ასევე კლიენტებისა და პროვაიდერების ამ საკითხისადმი დამოკიდებულების გარკვევა. კვლევას არ შესუწავლია, არსებობდა თუ არა სამედიცინო ჩვენება ინდივიდუალური საკეისრო კვეთისათვის. ამიტომ იგი არ აპირებს იმის გარკვევას, დამოკიდებულია თუ არა ეს გახშირება იმ სამედიცინო პირობებზე, რომლებიც საკეისრო კვეთას განაპირობებს. შევისწავლეთ საქართველოში საკეისრო კვეთის განმსაზღვრელი ფაქტორები, სახელდობრ - მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს გამოკვეთილი სამედიცინო აუცილებლობის გარეშე ჩატარებულ საკეისრო ოპერაციებს.

ბებიაქალებისა და მეან/გინეკოლოგების თანახმად, საკეისრო კვეთის შემთხვევათა მატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კლიენტების გახშირებული მოთხოვნაა, რაც კვლევით ვერ დასტურდება. ორსული ქალების უმეტესობა და იმ ქალების დიდი ნაწილი, რომლებმაც საკეისრო კვეთა გაიკეთეს, უპირატესობას ფიზიოლოგიურ ("ნორმალურ") მშობიარობას ანიჭებენ, თუმცა, მეორეს მხრივ, ქალების საკმაო რაოდენობა ქირურგიულ მშობიარობას ირჩევს, ან აღნიშნავს, რომ საკეისრო კვეთა მათი თხოვნით გაკეთდა მაშინაც კი, როდესაც არ არსებობდა სამედიცინო ჩვენება. გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ საკეისრო კვეთით ნამშობიარებ ქალთა 31% ვერ ასახელებდა მიზებს, თუ რატომ გაუკეთეს ეს ოპერაცია. კიდევ უფრო გასაკვირი ის იყო, რომ ამ ქალების ორ მესამედზე მეტაც ეს გადაწყვეტილება ორსულობის პერიოდში მიიღო; ერთმა მესამედმა კი - ორსულობის პირველ ტრიმესტრში. ამრიგად, კველვის მონაცემებმა გვიჩვენა, რომ ორსულების მიერ საკეისრო კვეთის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს ინფორმაციის ნაკლებობა და მშობიარობისა და ტკივილების მიმართ ძლიერი შიში განაპირობებს.

ერთი-ერთისავითხი, რომელსაც კვლევაშეხო, ფინანსურიმზარება. დღესმშობიარობასაქართველოში საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მშობიარობის საშუალო ფასი, დაახლოებით, 400 ლარია; საკეისრო კვეთის ღირებულება განსხვავებულია: 400-დან 1700 (მშობიარის თხოვნით გაკეთებული ოპერაციის ღირებულება ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში) ლარამდე. კვლევის მონაწილე ქალების უმრავლესობა არ იყო დაზღვეული: ორსული ქალების დაახლოებით სამი მეოთხედი, 65% ფიზიოლოგიურად ნამშობიარები და 57% საკეისრო კვეთაგადატანილი. გარდა ამისა, ყველა დაზღვეული ქალი არ თავისუფლდება დამატებითი ხარჯებისაგან, რადგან მათი სადაზღვევო სქემა არ ფარავს მშობიარობის მთლიან ღირებულებას. შესაძლოა ჭანმრთელობასთან დაკავშირებული დიდი ხარჯები იყოს მიზეზი ორსული ქალების (20 წლის ასაკშიც კი) მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რათა ამ პროცედურის დროს საშვილოსნოს მიღების გადაკვანძვაც გაიკეთონ. ასეთი პრაქტიკა იმის მანიშნებელია, რომ ჭანდაცვის დაფინანსების საკითხები პირდაპირ გავლენას ახდენს სამედიცინო პრაქტიკაზე. ფინანსური პრობლემა უდავოდ შეიძლება ჩაითვალის საქართველოში საკეისრო კვეთის მაღალი მაჩვენებლის განმსაზღვრელ ფაქტორად, თუმცა ამის დასაბუთება ძნელია, რადგან საჩოთირო საკითხს წარმოადგენს. ამ თემის განხილვისას რესპონდენტებიდაკონკრეტებისაგან თავს იკავებდნენ, ამიტომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის გაკეთება შეიძლება. ზოგმა პროვაიდერმა აღნიშნა, რომ გაუკეთებია საკეისრო კვეთა მოთხოვნის საფუძველზე, რადგან კლიენტებისაგან ზეწოლას განიცდა და არ სურდა მათი დაკარგვა.

ერთ-ერთი მონაცემი, რომელიც ღრმა შესწავლას საჭიროებს, არის ტკივილის მართვა ფიზიოლოგიურად მშობიარობისას და ანესთეზია საკეისრო კვეთის დროს. ამ უკანასკლენთან დაკავშირებით, პროვაიდერები უპირატესობას ენდოტრაქეულ ანესთეზიას ანიჭებენ რეგიონალურის (სპინალური) ნაცვლად, რომელიც ჭანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის რეკომენდებული. საკეისრო კვეთების 70% ენდოტრაქეული ანესთეზიითაა ჩატარებული, უმრავლესობა - რეგიონებში. ეს ფაქტი მიუთითებს პროვაიდერების მრავალ ხარვეზზე, რომლებიც თავს იჩენს, როდესაც საქმე ეხება ანესთეზიის თანამედროვე მეთოდებს, ასევე უნარ-ჩვევებს, ინფორმაციას, ტრენინგებს და თავდაკურებულობას.

ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს ტკივილის მართვის მეთოდებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და, შესაძლოა, ასეთი მეთოდების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ასევე შეიძლება განსაზღვრავდეს ქალების მიერ საკეისრო კვეთის მოთხოვნას. კვლევას არ დაუდგენია, რომ ორსული ქალების დიდი ნაწილი საკეისრო კვეთას ფიზიოლოგიურ მშობიარობასთან შედარებით

ნაკლებად მტკივნეულად მიიჩნევს და რომ ტკივილების შიში გონივრული არგუმენტია საკეისრო კვეთის გასაკეთებლად. ბებიაქალებმა აღნიშნეს, რომ ბევრ ქალს ამ ოპერაციისაკენ ტკივილების შიში უბიძგებდა; თუმცა ამ პრაქტიკის აღმოფხვრა შეიძლება, თუ ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია მშობიარობის დროს ტკივილის მართვის მეთოდებზე (როგორიცაა ეპიდურული ანესტეზია). ტკივილის მართვის მეთოდების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება დადებითად იმოქმედებს ქალების გადაწყვეტილებაზე და ისინი უპირატესობას „ბუნებრივ“ მშობიარობას მიანიჭებენ. მეორეს მხრივ, ამ მეთოდებისათვის სპეციალური უნარ-ჩვევები/მომზადებაა საჭირო. შესაძლოა, მათი გამოყენების დაბალ სიხშირეს ეს ფაქტორიც განაპირობებს.

ბებიაქალები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის ნაკლებობა პერინატალური ზრუნვის სერიოზული ნაკლია. მათი აზრით, უკეთ გათვითცნობიერებული კლიენტებით ნაკლებსტრესს განიცდიან მშობიარობამდე და მშობიარობის პროცესში, რაც ამცირებს სამედიცინო ჩარევის საჭიროებას და, აქედან გმომდინარე, ნეონატალური ან დედასთან დაკავშირებული ცუდი შედეგების რისკს. ანტენატალური პერიოდი უფრო მეტს უნდა მოიცავდეს, ვიდრე უბრალოდ სამედიცინო შემოწმებას, რათა ქალმა და მისმა მშობლებმა შეძლონ მშობიარობისა და მშობლის როლისათვის მომზადება. სამწეხაროდ, ბებიაქალის როლი ანტენატალურ პერიოდში შეზღუდულია ან, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკულად არ არსებობს. ეს ქალთა საკონსულტაციო ცენტრის და ამ ცენტრში მომოუშავე მეან/გინეკოლოგების კომპეტენცია გახდა. ბებიაქალები საუბრობენ ორსულების მშობიარობისათვის უკეთ მომზადების აუცილებლობაზე. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა მშობელთა სკოლა. კვლევის შედეგებმა გამოავლინა ბებიაქალების ინტერესი გაიფართოონ სამუშაოს მოცულობა ანტენატალური და პოსტნატალური მოვლის კუთხით. გარკვეულწილად, მათ ის მეან/გინეკოლოგებიც უჭერენ მხარს, რომლებიც ბებიაქალების როლს უფრო ფართოდ მოიაზრებენ. მაგრამ ასეთი ჯგუფი ჰერ ძალიან მცირერიცხოვანია.

თითქმის ყველა მეან/გინეკოლოგმა იცის, რომ საქართველოში საკეისრო კვეთის მაჩვენებელი გაიგარდა, მაგრამ ყველა მათგანი არ მიიჩნევს ამას საგანგაშოდ. ხოლო მათ, ვინც მიიჩნევს, უკეთესად ესმით საერთაშორისო რეკომენდაციების მნიშვნელობა და, გარდა ამისა, ისინი მუშაობენ ისეთ დაწესებულებებში, სადაც საკეისრო კვეთის მაჩვენებელი დაბალია. მეან/გინეკოლოგების თანახმად, ამ ტენდენციის მთავარი მიზეზი კლიენტების მხრიდან მზარდი მოთხოვნაა. ისინი კი უარს ვერ ამბობენ კლიენტისა და შემოსავალის დაკარგვის შიშით. ეროვნული გაიდლაინები და პროტოკოლები არ არსებობს, საყოველთაოდ მიღებულ (გამოცდილებაზე დაფუძნებულ) სტანდარტებს არ იცნობენ. როგორც სიმართლის წიგნებიდან ჩანს, მენჭით-წინ მდებარეობის შემთხვევათა უმრავლესობა საკეისრო კვეთით მთავრდება. ასევე მრავალნაყოფიანი ორსულობის შემთხვევების დიდი ნაწილი საკეისრო კვეთის სამედიცინო ჩვენებად ითვლება. დაბოლოს, აუცილებელია ეროვნული რეგულაციის მექანიზმის შემუშავება. კვლევამ გვიჩვენა, რომ დაწესებულებებმა, რომლებმაც საკეისრო კვეთის მაჩვენებლის შესამცირებელი ზომები იზოლირებულად მიიღეს, მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელია ერთობლივი მოქმედება.

## 6 დასკვნები

საქართველოში საკეისრო კვეთის მაღალი მაჩვენებლის მიზეზები მრავალგვარია:

- (ა) ქალების გაუთვითცნობიერებულობა ორსულობისა და ბუნებრივი გზით მშობიარობის შესახებ; ასევე ტკივილებისა და შესაძლო გართულებების შიში.
- (ბ) პროვაიდერებს არ გააჩნიათ საჭირო ტექნიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები, არასაკმარისად იცავენ პროფესიულ სტანდარტებს და ზოგ შემთხვევაში ქირურგიულ ჩარევას ფინანსური დაინტერესების გამო მიმართავენ.

დღეისათვის არ არის ცნობილი ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორის ზუსტი გავლენა. ამის დასადგენად უფრო სიღრმისეული კვლევა და/ან სხვადასხვა ტიპის კვლევები იქნება საჭირო (როგორიცაა მედიცინის დარგის პროფესიონალების მიერ სამედიცინო აუდიტების ჩატარება ორსულობისა და მშობიარობის მართვის საკითხებში).

მაინც შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გავთება კვლევის კონკრეტულ მიზნებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი დასკვნების მიმოხილვა კვლევის 7 მიზნის მიხედვით.

### მიზანი 1: საკეისრო კვეთის ზრდის ტენდენციები

- საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჰანდაცვის ცენტრის (NCDC) მონაცემები გვიჩვენებს, რომ საკეისრო კვეთით ჩატარებულ მშობიარობათა მაჩვენებელი 9.3%-დან (2000 წ.) 31.5%-მდე (2010 წ.) გაიზარდა, ანუ 10 წლის განმავლობაში - დაახლოებით, სამცერ. მონაცემების მიხედვით, საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე მაღალია (32%). საკეისრო კვეთის ოდნავ მაღალი მაჩვენებელი პირველი მშობიარობის დროს ფიქსირდება - 55%, (განმეორებითი მშობიარობის შემთხვევაში - 45%). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე საკმაოდ დაბალია (18%); ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია კერძო დაწესებულებებში და სააჯციო საზოგადოებებში: შესაბამისად - 40% და 35%.
- სხვადასხვა დაწესებულებათა მაჩვენებლები საკმაოდ განსხვავებულია. ზოგან საკეისრო კვეთის წილი 50%-ს აღემატება. საკეისრო კვეთების თითქმის ნახევარი წინასწარ არის დაგეგმილი, დანარჩენი 50% გადაუდებელ შემთხვევაში გავეთდა. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.
- საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში ბევრად დაბალია (19,7%) კერძო დაწესებულებთან და სააჯციო საზოგადოებებთან შედარებით (32-33%).
- საკეისრო კვეთების დაახლოებით 50% წინასწარარის დაგეგმილი, ანუ მშობიარობის დაწყებამდე. მეორე ნახევარი გადაუდებელ შემთხვევაში გავეთდა, ანუ გადაწყვეტილება მიიღეს მშობიარობის დაწყების შემდეგ. შეფარდება დაგეგმილ და გადაუდებელ საკეისრო კვეთებს შორის თანაბარია (50%-50%) და დროის მიხედვით შედარებით სტაბილური.
- ბოლო ათწლეულის განმავლობაში ძალიან გაიზარდა (სხვა კატეგორიებთან შედარებით) განმეორებითი მშობიარობისას დაგეგმილი საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი: 20%-დან (2000 წ.) 39%-მდე (2010 წ.).

## **მიზანი 2: საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებლის რეგიონალური/გეოგრაფიული ცვალებადობა**

- საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებმა გამოავლინა საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებლის ფართო ვარიაცია: ზოგიერთ რეგიონში ეს მაჩვენებელი 77%-ს უდრის, ზოგან კი - 10%-ს. ამგვარ რეგიონალურ ცვალებადობას სიმართლის წიგნების მონაცემები აღასტურებს.

## **მიზანი 3: სამეანო გართულებები, საკეისრო კვეთის მიზებები**

- მშობიარობის შესახებ არსებული ეროვნული მონაცემები არ შეიცავს საკეისრო კვეთების მიზებებს, რაც შეუძლებელს ხდის დავადგინოთ, თუ რა რაოდენობის საკეისრო ოპერაცია გაკეთდა სამედიცინო ჩვენების საფუძველზე (და რა ტიპის იყო ეს სამედიცინო ჩვენება).
- მაშები არც ერთ სამშობიარო სახლში არ გამოყენებიათ. მხოლოდ ცხრა მშობიარობა ჩატარდა ვაკუუმის გამოყენებით. ეს ციფრი ძალიან დაბალ მაჩვენებლად არის მიჩნეული და იგი შეიძლება მიუთითებდეს ამ პროცესის შესასრულებლად საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაკლებობაზე. ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს მაშების ან ვაკუუმის სწორად გამოყენებით შესაძლებელია ქირურგიული ჩარევის თავიდან აცილება.
- კეფით-წინ მდებარეობა 37 კვირაზე მეტი ორსულობისას (სტიმულაციის გარეშე): ასეთი შემთხვევების 24% საკეისრო კვეთით დასრულდა (2477-დან - 604). ამ კატეგორიაში საკეისრო კვეთა უფრო ხშირია პირველი მშობიარობისას.
- საკეისრო კვეთის უმცირესი რისკის ჰავუფს (საშუალოდ 2-3%) განეკუთვნება: განმეორებითი ფიზიოლოგიური მშობიარობა ერთი ნაყოფით და კეფით-წინ მდებარეობით (>37 კვირის ორსულობა, სტიმულაციისა და სპონტანური მშობიარობის გარეშე). კვლევის მონაცემებით, ამ ქვეჭვუფში დაფიქსირდა 15%-იანი მაჩვენებელი, რაც ნიშნავს, რომ მოცემულ ქვეჭვუფში საკეისრო კვეთის საშუალოზე მაღალი პროცენტი სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარდა.
- საკეისრო კვეთის შედარებით დაბალი რისკის მეორე ჰავუფს (საშუალოდ, 14-15%) განეკუთვნება: პირველი ფიზიოლოგიური მშობიარობა ერთი ნაყოფით დაცეფალური მდებარეობით >37 კვირის ორსულობა, სტიმულაციისა და სპონტანური მშობიარობის გარეშე). ამ ქვეჭვუფში საკეისრო კვეთის მთავარი მიზებები იყო მშობიარობის დროს წარმოქმნილი გართულება, როგორიცაა დისტოცია ან ნაყოფის დისტრესი. კვლევის თანახმად, მოცემულ ქვეჭვუფში საკეისრო კვეთის მაჩვენებელია 32%, რაც ნიშნავს, რომ ჩატარდა გაუმართლებელი საკეისრო ოპერაციები ყოველგვარი სამედიცინო ჩვენების გარეშე.
- სტიმულაციის პროცენტული მაჩვენებელი კეფით-წინ მდებარეობის ყველა ჰავუფში > 37 კვირის ორსულობისას საგრძნობლად დაბალია (45% პირველი და 14% განმეორებითი მშობიარობის დროს), რაც მიუთითებს, რომ საქართველოში მშობიარობის სტიმულირება გავრცელებული პრაქტიკა არ არის.
- თითქმის ყველა (ერთი გამონაკლისით) 33-ვე გარდიგარდმო მდებარეობა დასრულდა საკეისრო კვეთით. მენჯით-წინ მდებარეობის უმრავლესობა (83%) ასევე საკეისრო კვეთით დასრულდა. ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია მენჯით-წინ მდებარეობით პირველი მშობიარობის შემთხვევაში - 94%; ხოლო მენჯით-წინ მდებარეობით განმეორებითი მშობიარობისას ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია - 67%.
- მრავალნაყოფიან მშობიარობათა 66% საკეისრო კვეთით დასრულდა.

## **მიზანი 4: საკეისრო კვეთითა და ფიზიოლოგიურად ნამშობიარების შედარება**

- მშობიარე ქალთა (საკეისრო და ფიზიოლოგიური) უმრავლესობის ასაკი 21 - 35 წელია. ასაკის მატებასთან ერთად, საკეისრო კვეთების რაოდენობაც იზრდება: 20 წლამდე ასაკის - 30%; 21-35წლის -36%; 36 წელს 8ემოთ-56%.
- კვლევის მონაწილე ქალთა უმრავლესობას დაზღვევა არ ჰქონდა და იძულებული იყო თავად დაეფარა ხარჯები. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ორსულ ქალთა შორის (72%); დაზღვეული არ აღმოჩნდა თითქმის ორი მესამედი იმ ქალებისა, რომლებმაც ფიზიოლოგიურად იმშობიარეს (65%) და 57% იმ ქალებისა, რომლებმაც საკეისრო კვეთა ჩაიტარეს.

- ქალების უმრავლესობამ იმშობიარა (საკეისრო კვეთით და ფიზიოლოგიურად) კერძო სამშობიარო სახლებში. ეს ტენდენცია უცვლელია სამივე ასაკობრივ ჰაეფში. აღმოჩნდა, რომ დანარჩენ ორ ასაკობრივ ჰაეფში შედარებით, 36 და მეტი წლის ქალები როგორც საკეისრო, ასევე ფიზიოლოგიური მშობიარობის შემთხვევაში უპირატესობას კერძო სექტორს ანიჭებუნ (კერძო და სააქციო საზოგადოება). საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების ასაკობრივ ჰაეფში შორის არ არის დიდი განსხვავება დაწესებულების ტიპის არჩევის მხრივ, გარდა 36 წელზე უფროსი ასაკის ქალებისა, რომელთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა გაკეთებული საკეისრო კვეთა შპს-ში.
- მიუხედავად იმისა, რომ ქალების უმრავლესობა ორსულობის განმავლობაში ქალთა კონსულტაციას აკითხავდა, ინფორმაციის საერთო დონე და მშობიარობისათვის მზადყოფნა არადამაყმაყოფილებელია. ორსულ ქალთა 60%-მა აღნიშნა, რომ კარგად იყო მომზადებული, თუმცა მნიშვნელოვან ნაწილს მშობიარობის ტკივილების ეშინოდა და ამის შესახებ შებდუდული ინფორმაცია ჰქონდა. ფიზიოლოგიურად ნამშობიარები ქალების ნახევარზე ნაკლებმა აღნიშნა, რომ საკმარისი ინფორმაცია მიიღო. 28%-ის თქმით, მცირე ინფორმაცია ჰქონდა მიღებული; ხოლო 9%-ს არავითარი ინფორმაცია არ მიუღია.
- მიუხედავად იმისა, რომ ქალების უმრავლესობა (სამივე ჰაეფი) დადიოდა ქალთა კონსულტაციებში, ყველა როდი გამოიყურება მშობიარობისათვის მომზადებულად. თითქმის ყველამ, ვინც საკეისრო კვეთით იმშობიარა, შეძლო ანესთეზის ტიპის დასახელება. ამ ქალების 70%-ს ენდოტრაქეული ანესთეზია გაუკეთდა რეგიონალურის (სპინალურის) ნაცვლად, რომელიც ჰანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის რეკომენდებული. დიდი სხვაობაა თბილისში და რეგიონებში გავრცელებულ ანესთეზის საშუალებებს შორის. თბილისში ენდოტრაქეულ ანესთეზიას ნაკლებად მიმართავენ, რეგიონებში კი მას უპირატესობას ანიჭებენ.

#### **მიზანი 5: პროვაიდერების პოზიცია საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით**

##### **ბებიაქალები**

- კვლევაში მონაწილე ბებიაქალთა საშუალო ასაკია 45 წელი, ყველაზე ახალგაზრდა - 23 წლის და ყველაზე უფროსი - 68 წლის (რომელსაც 35 წლის გამოცდილება ჰქონდა და 42 წელი ერთ დაწესებულებაში მუშაობდა). ბებიაქალებს ამ პროფილით მუშაობის, საშუალოდ, 19-წლიანი გამოცდილება ჰქონდათ. ბებიაქალების უმრავლესობა (74%) ტრენინგებში იღებდა მონაწილეობას.
- ბებიაქალებს სთხოვეს საუბრათმათიფაქტობრივიდასასურველიროლისშესახებპერინატალური პერიოდის სხვადასხვა სტადიებზე. პერინატალური მოვლის ერთზე მეტ სტადიაში მხოლოდ რამდენიმე ბებიაქალია ჩართული. ბევრი მუშაობს მეან/გინეკოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, თუმცა საკმაოდ დიდი რაოდენობა (38) აღნიშნავს, რომ მომზადება გაიარეს და საკმაოდ დარწმუნებული არიან საკუთარ ძალებში იმისათვის, რომ ექიმების მეთვალყურეობის გარეშე, დამოუკიდებლად იმუშაონ. ამჟამად ანტენატალურ პერიოდში ბებიაქალთა 10%-ზე ნაკლებია ჩართული. ბევრი (რესპონდენტთა 66%) ხედავს საკუთარ როლს ანტენატალურ მოვლაში. მათი უმრავლესობის აზრით, საკეისრო კვეთის დროს ბებიაქალის ფაქტობრივი როლი ახალშობილის მიღებაა. 14-მა აღნიშნა, რომ ისინი ამზადებდნენ ორსულ ქალს ოპერაციამდე და ზოგადად ვერ ხედავენ საკეისრო კვეთის კუთხით საკუთარი როლის გაზრდის შესაძლებლობას.
- ბებიაქალთა პოზიციები საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით**

ბებიაქალთა უმრავლესობამ (80%) დაადასტურა მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში საკეისრო კვეთების რაოდენობის ზრდის ტენდენცია; მათ ისიც იცოდნენ, თუ რატომ კეთდებოდა ეს ოპერაციები. ბებიაქალების აზრით, საკეისრო კვეთის გახშირების მთავარი მიზეზი "ნორმალური" ფიზიოლოგიური მშობიარობის თანმდევი ტკივილების შიშია. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მეან/გინეკოლოგთა ძალისხმევისა დაერწმუნებინათ ქალები ნორმალური მშობიარობის შესაძლებლობაში, ქალები მაინც საკეისრო კვეთას ირჩევდნენ. თუმცა რესპონდენტების თითქმის ნახევრის აზრით, მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში მრავალი საკეისრო კვეთის თავიდან აცილება იყო შესაძლებელი; აქედან მხოლოდ 21-მა განმარტა, როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ზოგიერთი ბებიაქალის მოსაზრებით, საკეისრო კვეთის თავიდან აცილება მეიძლება ტკივილის კონტროლისა და მართვის უკეთესი მეთოდის გამოყენებით; სხვები ორსულის ცნობიერების დონის ამაღლებას მიიჩნევენ საჭიროდ. მათი შთაბეჭდილებით, კლიენტის მიერ საკეისრო კვეთის მოთხოვნის მიზეზი ძირითადად ორსულობისა

და მშობიარობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. ბებიაქალების თითქმის მესამედმა (30%) საკეისრო კვეთის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად ქმრის/პარტნიორის ზეგავლენა დაასახელა.

- ბებიაქალების აზრით, პერინატალური მოვლის გასაუმჯობესებლად აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: მშობელთა სკოლების დაარსება; ახალი გაიდლაინებისა და პროფორმულების დაწერვა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უსაფრთხო დედობასთან, მშობიარობასა და საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით.

## მეან/გინეკოლოგები

- კვლევაში მონაწილე მეან/გინეკოლოგების საშუალო ასაკი 49 წელია; მათგან უმრავლესობას აქვს 10-წლიანი და უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. ყველაზე უფროსი მონაწილე (75 წლისა) 50 წელია, რაც ერთსა და იმავე სამშობიარო სახლში/განყოფილებაში მუშაობს. მეან/გინეკოლოგთა უმრავლესობა მხოლოდ ერთ სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს; მათ მესამედს არასოდეს შეუცვლია სამუშაო ადგილი. მეან/გინეკოლოგების უმრავლესობას ტრენინგები აქვს გავლილი, ძირითადად - კონტრაცეფციისა და ოკაზის დაგეგმვის საკითხებზე.
- მეან-გინეკოლოგთა პოზიციები ბებიაქალის როლთან დაკავშირებით

ბებიაქალის როლი: მეან/გინეკოლოგებმა განაცხადეს, რომ მუშაობაში ხელი ეშლებათ პროფორმულებისა და ეროვნული გაიდლაინების არარსებობის გამო (რომლებიც მათ არა მარტო ინფორმაციით უზრუნველყოფდა, არამედ გარკვეული სახით დაიცავდა კიდეც). ჭანდაცვის ყველა დაწესებულებაში პარტოგრამაც არ არის დანერგილი. გამოკითხული მეან/გინეკოლოგების 12% მას არ იყენებს. დაახლოებით ნახევარი ბებიაქალებს პარტოგრამის შევსებას არ ანდობს, არასაკვარისი უნარ-ჩვევების გამო. თუმცა ექიმების დაახლოებით იგივე რაოდენობა ენდობა ბებიაქალებს მესამე ეტაპის აქტიური მართვის დამოუკიდებლად განხორციელებაში და "თბილი ჭაჭვის" შესრულებაში. მეან/გინეკოლოგების უმრავლესობამ აღიარა, რომ ბებიაქალები არ არიან ჩართული საკეისრო კვეთის პროცესში, 46-მა კი განაცხადა, რომ ვერ ხედავენ მათ როლს ამ სამუშაოში; ხოლო მათვის, ვინც ხედავს (64), ეს როლი გამოიხატება, მაგალითად, კლიენტების ოპერაციისათვის მომზადებამი ან ქირურგიული ჩარევის შემდეგ ახალშობილის მიღებაში. 77 ფიქრობს, რომ საკეისრო კვეთის პროცესში ბებიაქალების მონაწილეობის გაზრდა შეუძლებელია. პერინატალური მოვლის სხვა ასპექტებში ბებიაქალთა როლის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხისას ჰგუფი გაიყო: მეან/გინეკოლოგების ნახევარი ვერ ხედავს ბებიაქალების როლს ანტენატალურ პერიოდში, ხოლო მეორე ნახევარი მომზრეა ბებიაქალების მონაწილეობისა მაგალითად, მშობელთა სკოლებში. რამდენიმე გინეკოლოგის აზრით, მნიშვნელოვანია ბებიაქალების დამოუკიდებლობის გაზრდა მეან/გინეკოლოგების ხელმძღვანელობისა და მონიტორინგის პირობებში; დაახლოებით ერთმა მეხუთედმა განაცხადა, რომ ხედავს ბებიაქალების როლს პოსტნატალურ პერიოდში

- მეან-გინეკოლოგთა პოზიციები საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით: მეან/გინეკოლოგებს, ჩვეულებრივ, არ მიაჩნიათ, რომ შეიცვალა მდგომარეობა "სამეანო გართულების" და, კერძოდ, ისეთი გართულებების კუთხით, რომლებიც საკეისრო კვეთას მოითხოვენ. 12% კი ფიქრობს, რომ რაღაც შეიცვალა, მაგრამ ვერ ასაბუთებს.
- თითქმის ყველა მეან/გინეკოლოგი ადასტურებს, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოში საკეისრო კვთათა რაოდენობა გაიზარდა. მათი 63% ამ ზრდას ძირითადად კლიენტების მოთხოვნას მიაჩერს. მხოლოდ ერთ რესპონდენტს არ სკერა, რომ საკეისრო ოპერაციები გახშირდა. შეკითხვას, რომელსაც უნდა გაერკვია საკეისრო კვეთის მაჩვენებელთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციების ცოდნა, საკმაოდ დიდმა ნაწილმა სწორად ვერ უპასუხა. მესამედზე მეტმა (37%) აღნიშნა, რომ იცის რეკომენდებული ზღვარი, მაგრამ ვერ დააკონკრეტა. მეან/გინეკოლოგების 27%-მა განაცხადა, რომ არ იცის საერთაშორისო რეკომენდაციები; 22%-მა სწორი პასუხი გასცა (დასახელდა 8% - 15% ზღვარი), 4%-მა - არასწორი, ხოლო ასევე 4%-მა მიახლოებითი ცოდნა გამოამჟღავნა.
- მეან/გინეკოლოგების 17%-მა არ იცოდა საკუთარ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში საკეისრო კვეთების მაჩვენებელი. ნახევარზე მეტმა დაასახელა 20% და მეტი; ზოგიერთის შეფასებით კი ეს მაჩვენებელი 75%-ს უდრის. შემდეგ კითხვაზე, პრობლემად მიაჩნიათ თუ არა მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებელი, მეან/გინეკოლოგთა დიდმა ნაწილმა უარყოფითად უპასუხა. მეორეს მხრივ, ზოგიერთმა მეან/

გინეკოლოგმა განაცხადა, რომ მაღალი მაჩვენებელი პრობლემაა, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარ დაწესებულებაში ეს მაჩვენებელი საერთაშორისო რეკომენდაციებს აკმაყოფილებს. საბოლოო ჟამში, საკეისრო კვეთების მაჩვენებელი პრობლემად მიაჩნია 60%-ს.

- კითხვაზე - სათანადო თანამდებობაზე რომ ყოფილიყვნ, შეცვლიდნენ თუ არა რაიმეს მათ სამშობიარო სახლში/განყოფილებაში პერინატალურ/დედათა ჰანმრთელობის კუთხით. მეან-გინეკოლოგების ერთმა მესამედმა უპასუხა, რომ არაფერს შეცვლიდა, უმრავლესობამ კი განაცხადა, რომ ცვლილებებს განახორციელებდა: მშობელთა სკოლის დაარსება; ორსულთათვის ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესება; საკეისრო კვეთის მაჩვენებლის მონიტორინგი; საბოგადოების ცნობიერების ამაღლება საკეისრო კვეთის კუთხით; რესპონდენტების 10%-მა ხაზი გაუსვა სამედიცინო ჩვენების დაბუსტების აუცილებლობას (მაგ.: გაკეთდეს თუ არა საკეისრო კვეთა ნაყოფის მენცით-წინ მდებარეობის დროს); რამდენიმე რესპონდენტის აზრით, აუცილებელია საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული რეკომენდაციების დაცვა.

#### მიზანი 6: კლიენტთა პოზიციები საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით, ინფორმირებულობის არსებული დონე და მოსაზრებები, ქალების მიერ საკეისრო კვეთის მოთხოვნის მიზეზები

- გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალები ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან: მათმა 31%-მა ვერ დაასახელა მიზეზი, თუ რატომ გაუკეთეს ეს ოპერაცია. იმ ქალებიდან, რომლებმაც საკეისრო კვეთა გაიკეთეს, მხოლოდ 40% იყო კმაყოფილი მიღებული ინფორმაციით. დანარჩენი 60%-დან ნახევარს არავითარი ინფორმაცია არ მიუღია და არ იცოდა, რა სახის რისკებთან იყო დაკავშირებული საკეისრო კვეთა. მეორე ნახევარი სრულიად არაინფორმირებული იყო, ან ძალიან უმნიშვნელო ინფორმაციას ფლობდა მშობიარობის შესახებ. კიდევ უფრო გასაკვირი ის არის, რომ იმ ქალებს, რომლებიც არასაკმარისად იყვნენ ინფორმირებული, დაგეგმილი საკეისრო კვეთა ჰქონდათ გაკეთებული (67%).
- საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების ინფორმირებულობის მხრივ, რეგიონები ბევრად ჩამორჩება თბილისს. ქალების 58% ინფორმაციას ძირითადად საკუთარი ექიმისაგან იღებდა. მეორე ადგილზე დგანან მეგობრები (21%); ხოლო დანარჩენები სხვა არხებიდან იღებდნენ ინფორმაციას. მხოლოდ ერთმა ქალმა დაასახელა ინფორმაციის წყაროდ ბებიაქალი.
- 31% ვერ ასახელებდა ზუსტ მიზეზს, თუ რატომ გაუკეთეს საკეისრო კვეთა. დასახელებული მიზეზები სხვადასხვა იყო - სამედიცინო ჩვენება (ორსულობის პერიოდში ან მშობიარობის დროს), ასევე ტკივილისა და მშობიარობის შიში. რამდენიმე მათგანმა საკეისრო კვეთა იმიტომ გადაწყვიტა, რომ სტერილიზაციის გაკეთება სურდა. აღსანიშნავია, რომ საკეისრო კვეთის დროს ჩატარებული სტერილიზაცია უფრო იათია, ვიდრე ცალკე აღებული სტარილიზაცია.
- საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული გამოცდილების მხრივ, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი კმაყოფილია ამ გადაწყვეტილებით, ჰანმრთელობის პრობლემის გამო. ნაწილმა სინაული გამოთქვა. მათ განაცხადეს, რომ მეტი ინფორმაცია რომ ჰქონდათ და უკეთ ყოფილიყვნენ მომზადებული, უპირატესობას ფიზიოლოგიურ მშობიარობას მიაჩიჭებდნენ. მცირე ნაწილი ძალიან მოხარული იყო საკეისრო კვეთა რომ ჩაიტარა, რადგან ყველაფერი სწრაფად დასრულდა.
- საკეისრო კვეთით ნამშობიარებ ქალთა 59%-მა განაცხადა, რომ მომავალში ფიზიოლოგიურად იმშობიარებდა; იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ისევ საკეისრო კვეთით აპირებენ მშობიარობას, რეგიონებში შედარებით მაღალია. ორსული ქალების 81% უპირატესობას ფიზიოლოგიურ მშობიარობას ანიჭებს; საკეისრო კვეთის მსურველთა დანარჩენ 22%-ს სამედიცინო ჩვენება ჰქონდა, 25% ექიმის რჩევას ასრულებდა, ხოლო 53%-მა საკუთარი სურვილი დაასახელა.
- ქალების უმრავლესობა კმაყოფილი იყო მომსახურებით (სამივე ჯგუფში). ინტერვიუს ამ ეტაპზე (დასასრულს) საკეისრო კვეთით ნამშობიარებთა ნახევარმა განაცხადა, რომ ისურვებდა ფიზიოლოგიურად ემშობიარა.

მიზანი 7: ორსულობის რომელ სტადიაში იღებენ გადაწყვეტილებას მშობიარობის ტიპის შესახებ (ფიზიოლოგიური თუ საკეისრო)

- შემთხვევათა 69%-ში საკეისრო კვეთის გადაწყვეტილება ორსულობის პერიოდში იყო მიღებული; დანარჩენი 31%-ში – სამშობიარო მოქმედების დაწყების დროს.
- იმქალების დაახლოებით მესამედისათვის, რომლებმაც გადაწყვეტილება ორსულობის პერიოდში მიიღეს, ეს პერიოდი პირველი და მეორე ტრიმესტრი იყო, დანარჩენებმა გადაწყვეტილება მესამე ტრიმესტრში მიიღეს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობდა სამედიცინო ჩვენება, რადგან საკეისრო კვეთისათვის ჩვენებების დიაგნოსტირება (მაგ. დისტოცია ან მშობიარობის პროგრესის შეფერხება, მენტიტ-წინ მდებარეობა, ნაყოფის დისტრესი) მხოლოდ ორსულობის ბოლო სტადიაზე ან მშობიარობის დროსაა შესაძლებელი.

## 7. რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა

რეკომენდაციების ერთობლიობა გამომდინარეობს კვლევის ძირითადი შედეგებიდან. მათი განხორციელება ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- კლიენტებისა და საზოგადოების მხრივ: ინფორმირებულობის ზრდა და შიშის ფაქტორის შემცირება, საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მოთხოვნის გაძლიერება;
- პროვაიდერების მხრივ: პროფესიონალიზმის ამაღლება, ინფორმირებულობისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების ზრდა.

### 7.1 რეკომენდაციები

#### კლიენტთა მხრივ

ინფორმირებულობის ზრდა და შიშის ფაქტორის შემცირება შემდეგი საშუალებებით:

- მშობელთა სკოლების დაარსება;
- ანტენატალური და პოსტნატალური მოვლის გაძლიერება.

#### საზოგადოების მხრივ

საერთაშორისო სტანდარტების დაცვა შემდეგი საშუალებებით:

- ეროვნული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა;
- საზოგადოების ზოგადი ინფორმირება საკეისრო კვეთისა და უსაფრთხო დედობის თაობაზე.

დაინტერესებული ორგანიზაციები	როლი/ქმედებები
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭო	<ul style="list-style-type: none"><li>მთელი ქვეყნის მასშტაბით მშობელთა სკოლების დაარსების ხელშეწყობა (სამშობიარო სახლებსა და ქალთა კონსულტაციებში).</li><li>ანტენატალურ და პოსტნატალურ მოვლაში ბებიაქალების როლის ზრდის ხელშეწყობა, დაფუძნებული ინკომენდებულ საერთაშორისო სტანდარტებზე (როგორიცაა ძირითადი სამეანო პრაქტიკის არსებული კომპეტენციები, ბებიაქალთა საერთაშორისო კონფერენცია 2011<sup>1</sup>).</li><li>სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის განვუთვნილ სადაზღვევო პაკეტში მშობელთა სკოლებში ვიზიტების გათვალისწინება</li></ul>

<sup>1</sup> მეანობის ძირითადი ცნებების, მეანობის პრაქტიკის საზღვრებისა და ექვს სხვადასხვა ასპექტში კომპეტენციების მონახაზი, საზოგადოებრივი პოზიციებიდან - ბებიაქალის როლიამდე თრისულობამდელ/ ანტენატალურ, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში და პოსტნატალურ მოვლაში. (ბებიაქალთა საერთაშორისო კონფერენცია, 2011).

## კლიენტთა მხრივ

ინფორმირებულობის ზრდა და შიშის ფაქტორის შემცირება შემდეგი საშუალებებით:

- მშობელთა სკოლების დაარსება;
- ანტენატალური და პოსტნატალური მოვლის გაძლიერება.

## საზოგადოების მხრივ

საერთაშორისო სტანდარტების დაცვა შემდეგი საშუალებებით:

- ეროვნული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა;
- საზოგადოების ზოგადი ინფორმირება საკეისრო კვეთისა და უსაფრთხო დედობის თაობაზე.

<p><b>“საქართველოს ბებიაქალთა ასოციაცია”</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციის” აქტივობების გაზრდა რეგიონებში, კლიენტებთან და ბებიაქალებთან მუშაობის გააქტიურება .</li> <li>• “უსაფრთხო დედობის” სწავლების საშუალებათა კომპლექტის შემუშავება.</li> <li>• მთელი ქვეყნის მასშტაბით მშობელთა სკოლების დაარსებისათვის (სამშობიარო სახლებში და ქალთა კონსულტაციებში) ხელშეწყობა და ბებიაქალების ჩართვა მშობელთა სკოლებში.</li> <li>• კავშირი სხვა პროფესიულ გაერთიანებებთან გაუმჯობესებული პერინატალური მოვლის, საკეისრო კვეთისა და უსაფრთხო დედობის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად.</li> <li>• კვლევის ჩატარება საზოგადოებაში, კერძოდ კი მამაკაცთა პოზიციების გამოკვეთა უსაფრთხო დედობის, ბავშვის დაბადებისათვის მზადყოფნის, საკეისრო კვეთებისა და სხვ. თაობაზე (“საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციასთან” ერთად).</li> </ul>
<p><b>“საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია”</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მთელი ქვეყნის მასშტაბით მშობელთა სკოლების დაარსების (სამშობიარო სახლებში და ქალთა კონსულტაციებში) ხელშეწყობა.</li> <li>• ანტენატალურ და პოსტნატალურ მოვლაში ბებიაქალის როლის ხელშეწყობა, მეან/გინეკოლოგთა რჩევების დახმარებით და სამუშაო უბანზე ბებიაქალებთან თანამშრომლობით.</li> <li>• საქართველოში კვლევის მხარდაჭერა უსაფრთხო დედობის, ბავშვის დაბადებისთვის მზადყოფნის, საკეისრო კვეთებისა და სხვა საკითხების თაობაზე საზოგადოებისა და მამაკაცთა მოსაზრებების შესასწავლად (“საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციასთან” ერთად).</li> </ul>
<p><b>სამშობიარო სახლების/ სამშობიარო განყოფილებების მართვა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშობელთა სკოლების დაარსება სამედიცინო დაწესებულებებში.</li> <li>• სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარება მშობელთა სკოლების თაობაზე (შემადგენლობა და ხელმისაწვდომობა)</li> </ul>
<p><b>სადაზღვევო კომპანიები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სადაზღვევო პაკეტებში მშობელთა სკოლის ვიზიტების ჩართვა.</li> <li>• კერძო სექტორთან მოლაპარაკება სადაზღვევო პაკეტებში მშობელთა სკოლის ვიზიტების ჩართვასთან დაკავშირებით.</li> <li>• მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება მათი სადაზღვევო პაკეტების შემცველობის შესახებ.</li> </ul>

## პროცესის მხრივ

ინფორმირებულობისა და უნარ-ჩვევების ამაღლება შემდეგი საშუალებებით:

- უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებისა და პრაქტიკული სწავლების გაძლიერება
- საერთაშორისო სტანდარტებისა და ემპირიულ საფუძველზე დამყარებული პრაქტიკების დანერგვა

## დაინტერესებული მხარეები როლები/ქმედებანი

<p><b>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ერთვნული საბჭო</b></p> <p><b>“საქართველოს მედიცინური მუნიციპალიტეტი”</b></p> <p><b>“საქართველოს მედიცინური მუნიციპალიტეტი”</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობის კონტექსტში ბებიაქალების სტატუსის დაზუსტება და მისი ხელახალი დამტკიცება.</li> <li>• უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამის შემუშავება ბებიაქალებისათვის.</li> <li>• საკეისრო კვეთების პრაქტიკული შემთხვევების მონიტორინგი, ანესთეზიის ჩათვლით და მართვის თანამედროვე მეთოდებზე ხელმისაწვდომობის ამაღლება საერთაშორისო რეკომენდაციებისა და სტანდარტების საფუძველზე.</li> <li>• პროფესიონალის ტრენინგი სპინალური/ეპიდურული ანესთეზიის საკითხებზე (ბუნებრივი მშობიარობის შემთხვევაში).</li> <li>• ბებიაქალებისათვის უწყვეტი სამედიცინო განათლების დანერგვა.</li> <li>• ტრენინგის ორგანიზება და განვითარება მშობელთა სკოლებისა და პერინატალური მოვლის სხვა სათანადო საკითხების კუთხით, ინსტრუქტორების გადამზადებისა და ცოდნის ურთიერთგაბრძების მეთოდებზე დაყრდნობით.</li> <li>• “საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის” მხარდაჭერა ძირითად საკითხებზე პროტოკოლებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებასთან დაკავშირებით, მშობიარობის მესამე ეტაპის აქტიური მართვის, “ცივი ჰაჭვის” (cold chain) და სხვ. ჩათვლით.</li> <li>• პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა საკითხების ურთიერთგაბრძების მოდელების გაფართოების, სამუშაოთა აღწერებისა და სხვ. კუთხით (ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციის ძირითად კომპეტენციებზე დაყრდნობით).</li> <li>• შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, ბებიაქალებისათვის განვუთვნილი სპეციალური პროტოკოლების შექმნა პერინატალური მოვლის ძირითადი საკითხებზე (მშობიარობის მესამე ეტაპის აქტიური მართვის ჩათვლით).</li> <li>• საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული ძირითადი მითითებებისა და პროტოკოლების დეტალური შემუშავება და დანერგვა.</li> <li>• უწყვეტი განათლების პროგრამების შედგენა გინეკოლოგებისათვის – საერთაშორისო რეკომენდაციების, ემპირიული მიმართულებებისა და ორსულობისა და მშობიარობის პრობლემებისადმი მიდგომის თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით.</li> </ul>
---	---

<b>სამშობიარო სახლებისა და სამშობიარო განყოფილებების მენეჯმენტი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>უკვე შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და პროტოკოლების დანერგვა სამშობიარო სახლებში.</li> <li>კადრების შერჩევა მეან-გინეკოლოგებს შორის როლების დიფერენციაციის გათვალისწინებით, სამუშაოთა აღწერების გადახედვით.</li> <li>სასწავლო გარემოს სტიმულირება და ტრენინგისა და განათლების პროცესებში პროფესიონალების ჩართვა.</li> <li>ბიუჯეტის განაწილება სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველსაყოფად.</li> </ul>
<b>სადაზღვევო კომპანიები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>საკეისრო კვეთათა პროვაიდერების პრაქტიკის მონიტორინგი, საერთაშორისო რეკომენდაციების დაცვით.</li> <li>პროვაიდერების ინფორმირება საკეისრო კვეთებისა და პერინატალური მოვლის ასპექტებთან დაკავშირებით.</li> </ul>

## 7.2 “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციის” (MAG) სამოქმედო გეგმა

ჰანდაცვის სისტემის კვლევის (HSR) მეორე სემინარის მსვლელობისას (2011 წლის მარტში), “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციამ” მოამზადა მიღებული შედეგების გავრცელების სამოქმედო გეგმა. დეტალურად იქნა შემუშავებული მომდევნო 1-2 წელიწადში განსახორციელებელი აქტივობების გეგმა/გრაფიკი.

აქტივობები მიმართული იქნება შემდეგი სფეროებისაკენ:

(1) ინფორმირებულობის ამაღლება პროვიდერებსა და ბოგადად მოსახლეობაში, მათ შორის:

- კვლევის შედეგების პრეზენტაცია “საქართველოს ბებიაქალთა ასოციაციის” წლიურ საერთო კრებაზე, 2011 წლის 5 მაისს.
- კვლევის შედეგების პრეზენტაცია MATRA-ს მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტის, “მოვლის ხარისხის ამაღლების”, დასკვნით კონფერენციაზე.
- ანგარიშის დაბეჭდვა და გავრცელება (სრული და შემოკლებული ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე).
- ძირითადი შედეგების გავრცელება მოსახლეობის საგანმანათლებლო საშუალებების გამოყენებით (ბროშურებით, პროსპექტებით, პლაკატებით).

(2) სადაზღვევო პოლისის შედგენა და პრაქტიკის გაუმჯობესება სამშობიარო სახლებში/სამშობიარო განყოფილებებში. ამ სფეროში საქმიანობა განხორციელდება შრომის, ჰანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, “საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციასთან”, სადაზღვევო კომპანიებთან და სხვა მხარეებთან თანამშრომლობით. ეს პროცესი წარიმართება ზემოჩამოთვლილი რეკომენდაციებით. მუშაობის პირველ ეტაპზე განსაზღვრულია მშობელთა სკოლების დაარსების ხელშეწყობა, რამეთუ კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მთავარი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობა და მშობიარობის შიშია. მშობელთა სკოლები ანტენატალური ზედამხედველობის ხელშემწყობ აქტივობად ითვლება და მნიშვნელოვნად ეხმარება ორსულებს, მათ პარტნიორებსა და ოჯახის წევრებს ინფორმაციის მიღებაში და მშობიარობისათვის სათანადოდ მომზადებაში.

## გამოყენებული დოკუმენტები

Belizán J, et al. (2007). *Health Consequences of the Increasing Caesarean Section Rates*. Epidemiology: July 2007 - Volume 18 - Issue 4 - pp 485-486. doi: 10.1097/EDE.0b013e318068646a

Belli P, Gotsadze G, Shahriari H (2004). *Out-of-pocket and informal payments in health sector: evidence from Georgia*. Health Policy 70 (2004) 109–123

Chanturidze T, T Ugulava, A Duran, T Ensor, E Richardson (2009). *Georgia: Health system review. Health Systems in Transition*; 2009; (11)8:1-116. European Observatory on Health systems and policies

Costa et al. (2007). *Using a Caesarean Section Classification System based on characteristics of the population as a way of monitoring obstetric practice*. Reproductive Health 2010, 7:13

Hogan, C (2010). *Maternal mortality for 181 countries, 1980—2008: a systematic analysis of progress towards Millennium Development Goal 5*. The Lancet, Volume 375, Issue 9726, Pages 1609 - 1623, 8 May 2010. doi:10.1016/S0140-6736(10)60518-1

ICM (2011). ICM Essential Competences for Basic Midwifery Practice

NCDC annual reports, [Online] Available from: [http://www.ncdc.ge/pages/p\\_520\\_en.htm](http://www.ncdc.ge/pages/p_520_en.htm) [Accessed 10/04/2011]

NCDC (2009) *Health and Health Care, Statistic Yearbook*, [Online] Available from: [http://www.ncdc.ge/Eng/Statistics/Statistical\\_Reports/2009EN/Chapter%203-Maternal%20and%20Child%20Health.pdf](http://www.ncdc.ge/Eng/Statistics/Statistical_Reports/2009EN/Chapter%203-Maternal%20and%20Child%20Health.pdf) [Accessed 1/04/2011]

UNICEF/Curatio IF/Chkhatashvili K, Chikovani I, Asatiani T (2006). Assessment of Perinatal Care in Georgia

USAID/Coreform (2009). Concept of Perinatal System Strengthening in Georgia

WHO, Health system performance assessment 2009. World Health Organization Regional office for Europe.

WHO (1985). Appropriate technology for birth. *Lancet* 1985, 326(8452):436-7

WHO/Lauer J, Betrán A. et al (2010). *Determinants of caesarean section rates in developed countries: supply, demand and opportunities for control*. World Health Report (2010) Background Paper, No 29

WHO (2010). *Caesarean section without medical indication increases risk of short-term adverse outcomes for mothers*. Policy Brief. WHO/RHR/HRP/10.20

## დანართები

დანართი 1: კვლევის მიზნების, ცვლადებისა და მონაცემთა წყაროების ზოგადი მიმოხილვა

ცხრილი 15: მიზნები, ცვლადები, მონაცემთა წყაროები

მიზნები	ცვლადი	მონაცემთა წყარო
1. საკეისრო კვეთათა მაჩვენებელი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში	- ფიზიოლოგიური მშობიარობები (2000-2010) - საკეისრო კვეთები (2000-2010)	საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემები
2. რეგიონალურ/გეოგრაფიული ცვლილებების დადგენა საქართველოში განხორციელებული საკეისრო კვეთების მაჩვენებელში	- ფიზიოლოგიური მშობიარობები (2000-2010) - საკეისრო კვეთები (2000-2010)  - ფიზიოლოგიური მშობიარობები და საკეისრო კვეთები შერჩეულ სამშობიარო სახლებში და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში)	საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემები.  სიმართლის წიგნის მონაცემები.
3. დროში ცვალებადობის დოკუმენტირება ისეთი ტიპის პირობებისა, რომლებიც ითვლება “მეანურ გართულებებად” და კონკრეტულად ისეთის, რომლებიც მოითხოვს საკეისრო კვეთას.	- საკეისრო კვეთის სისტემის რობსონის კლასიფიკაცია . - საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა	სიმართლის წიგნის მონაცემები. გამოკვლევის პროცედურები (მეან/გინეკოლოგები, ბებიაქალები).
4. ფიზიოლოგიურად და საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების მოკლე შედარებითი დახასიათება	- საკეისრო კვეთის სისტემის რობსონის კლასიფიკაცია. - სხვა მახასიათებლები (ასაკი, ორსულობის პერიოდი, საცხოვრებელი ადგილი, სამშობიარო სახლის ტიპი და სხვ.)	სიმართლის წიგნის მონაცემები. კლიენტების (ფიზიოლოგიური და საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალების) გამოკითხვა.
5. ბებიაქალების, მეან/გინეკოლოგების პოზიციების დადგენა საკეისრო კვეთების თაობაზე (ზოგადი ტენდენციები, სიტუაცია საქართველოში და შერჩეულ სამშობიარო სახლებში)	- ცოდნა საკეისრო კვეთების შესახებ (ფაქტები, ტენდენციები). - დამოკიდებულება საკეისრო კვეთის მიმართ.	გამოკვლევის პროცედურები. (მეან/გინეკოლოგები, ბებიაქალები).

**ცხრილი 15: მიზნები, ცვლადები, მონაცემთა წყაროები**

მიზნები	ცვლადი	მონაცემთა წყარო
6. კლიენტებისაგან ინფორმაციის მიღება მათი პოზიციის შესახებ საკეისრო კვეთებთან დაკავშირებით; მათი ინფორმირებულობის დონე, საკეისრო კვეთისადმი დამოკიდებულება და საკეისრო კვეთის მოთხოვნის მიზეზები	- კლიენტების ცოდნა და მათი დამოკიდებულება ფიზიოლოგიური მშობიარობისადმი და საკეისრო კვეთისადმი. - კლიენტის კმაყოფილება და პოზიცია ბებიაქალის როლთან დაკავშირებით	კვლევის კლიენტები (ფიზიოლოგიურად და საკეისრო კვეთით ნამშობიარები ქალები)
7. ორსულობის იმ ეტაპის დადგენა, რომელზეც მიიღება გადაწყვეტილება მშობიარობის ტიპის აღჩევასთან დაკავშირებით. (ფიზიოლოგიური თუ საკეისრო)	- კლიენტის პოზიცია მშობიარობასთან და ბებიაქალის როლთან დაკავშირებით	კვლევის კლიენტები (ორსული ქალები)

